

საქართველოს კანონი

ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი, რეგულირების საგანი და მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მიზანია საქართველოში ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზრის განვითარება, ამ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, გრძელვადიანი ინვესტიციების წახალისება და მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვა.

2. ეს კანონი ვრცელდება:

ა) საქართველოში დაფუძნებულ საპენსიო კომპანიებზე;

ბ) საქართველოში დაფუძნებულ აქტივების მმართველ კომპანიებსა და მზღვეველებზე, რომლებიც ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობას ახორციელებენ;

გ) საქართველოში რეგისტრირებულ ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემებზე (შემდგომ – საპენსიო სქემა);

დ) სხვა ფიზიკურ პირსა და იურიდიულ პირზე, რომლებიც ჩართული არიან ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობაში.

3. დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებული ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის როგორც საქართველოში, ისე მისი ფარგლების გარეთ განხორციელება ამ კანონით გათვალისწინებული ლიცენზიისა და რეგისტრაციის ან/და სამსახურის წინასწარი თანხმობის გარეშე. ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა გულისხმობს საპენსიო სქემის რეგისტრაციას/დაფუძნებას, საპენსიო სქემის ადმინისტრირებას, საპენსიო შენატანების აკუმულირებასა და აღრიცხვას, საპენსიო დანაგროვის ფორმირებას, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო აქტივების ინვესტირებას და ნებაყოფლობითი კერძო პენსიების რეგულარულად გაცემას.

4. საქართველოს ფარგლების გარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი საქართველოში ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობას ახორციელებს ამ კანონის შესაბამისად.

5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებზე, უცხო ქვეყნის ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანოებსა და დაწესებულებებზე, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ან სავალდებულო საპენსიო სისტემების ფონდებს მართავენ;

ბ) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საპენსიო სქემაზე;

გ) საერთაშორისო ფინანსური და დიპლომატიური ინსტიტუტების მიერ საქართველოში თავიანთი თანამშრომლებისთვის შეთავაზებულ საქართველოს ფარგლების გარეთ დაფუძნებულ საპენსიო სქემებზე.

6. ამ კანონით რეგულირებული საპენსიო სქემები არის მხოლოდ განსაზღვრული შენატანის საპენსიო სქემები. ამავე კანონის ფარგლებში საქართველოში რეგისტრირებული არცერთი საპენსიო სქემა არ შეიძლება შეთავაზებულ იქნეს, როგორც განსაზღვრული სარგებლის საპენსიო სქემა, რომელშიც



ნებაყოფლობითი კერძო პენსიის გადახდა დამოკიდებულია მონაწილის გამომუშავების ისტორიაზე, სამუშაო სტაჟსა და ასაკზე და პირდაპირ არ უკავშირდება მის სასარგებლოდ განხორციელებულ საპენსიო შენატანებსა და შესაბამის ამონაგებს.

7. ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის სფეროში ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მონაწილე – ფიზიკური პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება საპენსიო შენატანები და ნებაყოფლობითი კერძო პენსიის გაცემა ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული საპენსიო სქემის მიხედვით;

ბ) ნებაყოფლობითი კერძო პენსია (შემდგომ – პენსია) – საპენსიო სქემაში მონაწილეობის შედეგად მონაწილის ან ბენეფიციარის სასარგებლოდ განხორციელებული ფულადი გადახდა ამ კანონის შესაბამისად და შესაბამისი საპენსიო სქემის წესებით დადგენილი ოდენობითა და პროცენტურით;

გ) საპენსიო განაცხადი – დოკუმენტი, რომელიც მონაწილემ უნდა წარადგინოს ამ კანონის შესაბამისად პენსიის მისაღებად;

დ) საპენსიო აქტივები (საპენსიო დანაგროვი) – მონაწილის სახელით განხორციელებული ყველა საპენსიო შენატანი, აგრეთვე საპენსიო აქტივების მართვის შედეგები (საინვესტიციო მოგება ან ზარალი), ამ კანონისა და შესაბამისი საპენსიო სქემის წესების შესაბამისად გატანილი პენსიისა და ყველა დაკავშირებული და გამოქვითვადი ხარჯის გათვალისწინებით, რაც ასახული უნდა იყოს პირად საპენსიო ანგარიშზე;

ე) საპენსიო შენატანები – ამ კანონისა და საპენსიო სქემის წესების შესაბამისად პენსიით უზრუნველსაყოფად გადახდილი თანხები;

ვ) საპენსიო კომპანია – იურიდიული პირი, რომელიც დამსაქმებელმა, დამსაქმებელთა გაერთიანებამ, დასაქმებულთა გაერთიანებამ ან პროფესიულმა ორგანიზაციამ დააფუძნა, როგორც დამოუკიდებელი კომპანია, და რომელსაც აქვს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზია;

ზ) საპენსიო სქემის წესები – დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ამ კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ პირობებს, მათ შორის, საპენსიო შენატანების განხორციელების, საპენსიო აქტივებზე უპირობო უფლებების მინიჭების, პენსიის გაცემის, საპენსიო სქემის საინვესტიციო მიდგომის შესახებ დეტალურ ინფორმაციას;

თ) საპენსიო სქემა – ამ კანონის შესაბამისად სამსახურის მიერ რეგისტრირებული საპენსიო სქემის წესებისა და პარამეტრების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის პენსიით უზრუნველყოფას;

ი) კერძო პენსიის ხელშეკრულება – ერთი მხრივ, მონაწილესა და, მეორე მხრივ, აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას შორის ამ კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულება;

კ) დამსაქმებელი – საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული იურიდიული პირი;

ლ) საპენსიო ფონდი – საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული აქტივების პორტფელი, რომელსაც განსაზღვრული საინვესტიციო რისკის პროფილი აქვს და რომლის მართვა ხორციელდება კონკრეტული საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად;

მ) დასაქმებული – ფიზიკური პირი, რომელიც:



მ.ა) ვალდებულებებს ასრულებს იმ ურთიერთობების ფარგლებში, რომლებიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობითა და საქართველოს შრომის კანონმდებლობით ან/და უცხო ქვეყნის შრომის კანონმდებლობით რეგულირდება;

მ.ბ) არის საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი (დირექტორი) ან ხელმძღვანელის (დირექტორის) მოვალეობის შემსრულებელი;

ნ) თვითდასაქმებული – ინდივიდუალური მეწარმე, აგრეთვე ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც გადასახადის წყაროსთან დაკავებას არ ექვემდებარება;

ო) პირადი საპენსიო ანგარიში – აღრიცხვის ფორმა, რომელიც მონაწილისთვის შექმნა აქტივების მმართველმა კომპანიამ, მზღვეველმა ან საპენსიო კომპანიამ და რომელიც ასახავს მონაწილის სასარგებლოდ განხორციელებულ საპენსიო შენატანებს, საპენსიო აქტივების მართვის შედეგებს, ამ კანონის შესაბამისად გატანილ პენსიას და ყველა დაკავშირებულ წინასწარ განსაზღვრულ ხარჯსა და გადასახდელს;

პ) სამეთვალყურეო საბჭო – იურიდიული პირის მართვის სტრუქტურაში შემავალი მმართველი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს/პირების კონტროლისთვის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ჟ) ხელმძღვანელი ორგანო – იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც ახორციელებს ხელმძღვანელობით საქმიანობას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

რ) ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი – პირი, რომელიც მონაწილის ან ბენეფიციარის წინაშე პასუხისმგებელია საპენსიო აქტივების დაცვისთვის, ინვესტირებისთვის, შენახვისთვის ან აღრიცხვისთვის იმდენად, რამდენადაც ასეთი იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი;

რ.ა) საპენსიო აქტივების მართვის პროცესში ახორციელებს ნებისმიერ დისკრეციულ უფლებამოსილებას ან კონტროლს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირების მიზნებისთვის კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

რ.ბ) შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გასწევს საინვესტიციო კონსულტაციას საპენსიო აქტივებთან დაკავშირებით;

რ.გ) შეიმუშავებს საპენსიო სქემის საინვესტიციო პოლიტიკას;

რ.დ) აღრიცხავს გარიგებებს და ამუშავებს ამ გარიგებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, აწარმოებს ან/და ინახავს მონაწილეების შესახებ ჩანაწერებს;

ს) საპენსიო ასაკი – „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ასაკი;

ტ) ვადაზე ადრე პენსიაზე გასვლა – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საპენსიო ასაკის მიღწევამდე 5 (ხუთი) წლით ადრე პენსიაზე გასვლა;

უ) ერთიანი გადახდა – პირად საპენსიო ანგარიშზე არსებული პენსიის მთლიანი ოდენობის ერთჯერადი გადახდა მონაწილისთვის ან ბენეფიციარისთვის;

ფ) პროგრამული გატანა – ამ კანონის შესაბამისად პირადი საპენსიო ანგარიშიდან პენსიის პერიოდული გატანა;

ქ) ანუიტეტი – სიცოცხლის დაზღვევის სახეობა, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარულ გადახდას მონაწილის ან ბენეფიციარის სიცოცხლის განმავლობაში (ანუიტეტი სიცოცხლის ხანგრძლივობით) შესაბამისი საპენსიო სქემის წესების შესაბამისად;



დ) შესაძლებლობის შეზღუდვა – „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მდგომარეობა, რომელიც დასტურდება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტიდან ამონაწერით და რომელიც განაპირობებს ზომიერად, მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსს;

ყ) ბენეფიციარი – მონაწილის მიერ ამ კანონის 42-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული პირი;

შ) ფილიალი – უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული და შესაბამისი ორგანოების მიერ ნებადართული აქტივების მმართველი კომპანიის ან სადაზღვევო ორგანიზაციის ან საპენსიო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის (უცხოური საპენსიო ორგანიზაციის) წარმომადგენლობა, რომელსაც იურიდიული პირის სტატუსი არ გააჩნია და რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

ჩ) კონტროლი – მშობელ და შვილობილ საწარმოებს შორის ურთიერთობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც სამოქმედოდ შემოღებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, აგრეთვე მსგავსი ურთიერთობა ნებისმიერ პირსა და საწარმოს შორის. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის შვილობილი საწარმოს შვილობილი საწარმო აგრეთვე ითვლება ამ საწარმოების ზემდგომი მშობელი საწარმოს შვილობილ საწარმოდ;

ც) მჭიდრო კავშირი – ორი ან ორზე მეტი ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის:

ც.ა) კავშირი წილის ფლობით, რაც გულისხმობს საწარმოს კაპიტალის ან ხმის უფლების 20 პროცენტის ან 20 პროცენტზე მეტის ფლობას პირდაპირ ან კონტროლის მეშვეობით;

ც.ბ) კავშირი კონტროლის მეშვეობით;

ც.გ) ერთსა და იმავე პირთან მუდმივი კავშირი კონტროლის მეშვეობით;

ც.დ) კავშირი მნიშვნელოვანი წილის ფლობით, რაც გულისხმობს საწარმოს კაპიტალის ან ხმის უფლების 10 პროცენტის ან 10 პროცენტზე მეტის პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობას ან საწარმოს მართვაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, მიუხედავად საწარმოს კაპიტალში წილის ან ხმის უფლების ოდენობისა;

ც.ე) მჭიდრო ოჯახური კავშირი, მათ შორის, მეუღლეებს, და-ძმას, მშობელსა და შვილს, ბებიას ან პაპას და შვილიშვილს შორის;

ძ) სამსახური – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური;

წ) უცხოური საზედამხედველო ორგანო – ორგანო, რომელიც უცხო ქვეყნის კანონმდებლობით გასცემს უცხოური საპენსიო ორგანიზაციის, უცხოური აქტივების მმართველი კომპანიის და უცხოური სადაზღვევო ორგანიზაციის საქმიანობის ნებართვას ან/და ზედამხედველობას უწევს საპენსიო აქტივების მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობას;

ჭ) აქტივების მმართველი კომპანია – „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული და ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანია;

ხ) უცხოური აქტივების მმართველი კომპანია – „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული უცხოური აქტივების მმართველი კომპანია;

ჯ) მზღვეველი – „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული იურიდიული პირი, რომელიც სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიის საფუძველზე უფლებამოსილია განახორციელოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა;



3) უცხოური სადაზღვევო ორგანიზაცია – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში რეგისტრირებული და შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ საქართველოში დაფუძნებული ფილიალი (წარმომადგენლობა), რომელიც რეგისტრირებულია ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უფლებამოსილია განახორციელოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე;

3¹) სპეციალიზებული დეპოზიტარი – ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად საპენსიო სქემებისთვის ასრულებს სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციებს;

3²) შერწყმა:

3².ა) ერთი ან ერთზე მეტი საპენსიო კომპანიის მიერ, რომელიც (რომლებიც) საპენსიო საქმიანობას წყვეტს (წყვეტენ), ყველა აქტივისა და ვალდებულების სხვა არსებული საპენსიო კომპანიისთვის გადაცემა მიმღები საპენსიო კომპანიის მიერ გადამცემი საპენსიო კომპანიის მონაწილეებისთვის პირადი საპენსიო ანგარიშების გახსნის და მათზე შესაბამისი საპენსიო აქტივების ასახვის სანაცვლოდ;

3².ბ) ერთი ან ერთზე მეტი საპენსიო კომპანიის (გადამცემი საპენსიო კომპანიის) მიერ, რომელიც (რომლებიც) საპენსიო საქმიანობას წყვეტს (წყვეტენ), ყველა აქტივისა და ვალდებულების მის (მათ) მიერ ახლად დაფუძნებული საპენსიო კომპანიისთვის (მიმღები საპენსიო კომპანიისთვის) გადაცემა მიმღები საპენსიო კომპანიის მიერ გადამცემი საპენსიო კომპანიის მონაწილეებისთვის პირადი საპენსიო ანგარიშების გახსნის და მათზე შესაბამისი საპენსიო აქტივების ასახვის სანაცვლოდ;

3².გ) ერთი ან ერთზე მეტი საპენსიო კომპანიის (გადამცემი საპენსიო კომპანიის) მიერ, რომელიც (რომლებიც) არსებობას ვალდებულებების შესრულებამდე განაგრძობს (განაგრძობენ), მის (მათ) მიერ შექმნილი საპენსიო კომპანიისთვის (მიმღები საპენსიო კომპანიისთვის) ან სხვა არსებული საპენსიო სქემისთვის წმინდა აქტივების გადაცემა;

3³) საპენსიო სქემის შეწყვეტა – საპენსიო სქემის შეწყვეტა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით და ყველა საპენსიო აქტივის გადაცემით;

3⁴) უპირობო უფლებები საპენსიო აქტივებზე – ამ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული მონაწილის უფლებები საპენსიო აქტივების იმ ნაწილზე, რომელიც დამსაქმებლების მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების შედეგია და რომელიც არ ექვემდებარება ჩამორთმევას და ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა და რომლებიც მოიცავს ნებისმიერ იძულებითი აღსრულების საპროცესო ღონისძიებას (მათ შორის, სარჩელისა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს) და საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს (მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, გირავნობასა და ყადაღას);

3⁵) ხანგრძლივი მატარებელი – ნებისმიერი საშუალება (მათ შორის, ელექტრონული), რომელიც მონაწილეს საშუალებას აძლევს, პირადად მისთვის მიწოდებული და განკუთვნილი ინფორმაცია შეინახოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უცვლელად რეპროდუცირების შესაძლებლობა;

3⁶) მარეგისტრირებელი ორგანო – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

3⁷) დამსაქმებელთა გაერთიანება – საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრული და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი;



3⁸) დასაქმებულთა გაერთიანება – „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი;

3⁹) პროფესიული ორგანიზაცია – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი, წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც პროფესიული ნიშნით აერთიანებს ფიზიკურ პირებს (მათ შორის, თვითდასაქმებულებს).

2. ამ კანონში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ და „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

თავი II

საპენსიო სქემები, საპენსიო სქემებში მონაწილეობა

მუხლი 3. საპენსიო სქემის ფორმები და საპენსიო სქემაში მონაწილეობა

1. საპენსიო სქემა არის განუსაზღვრელი ვადით შექმნილი მექანიზმი, რომლის მიზანია მონაწილისა და ბენეფიციარის მიერ საპენსიო დანაგროვის დაგროვების, ინვესტირებისა და პენსიის მიღების ორგანიზება.

2. ამ კანონის შესაბამისად საპენსიო სქემაში მონაწილეობის შედეგად მიღებული პენსია განისაზღვრება მხოლოდ მონაწილის პირად საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული საპენსიო აქტივებითა და მის მიერ შერჩეული პენსიის გადახდის გრაფიკის შესაბამისად და დამოკიდებული არ არის სხვა ფაქტორებზე.

3. ამ კანონის შესაბამისად შეიძლება ჩამოყალიბდეს ორი ფორმის საპენსიო სქემა:

ა) ინდივიდუალური საპენსიო სქემა;

ბ) ჯგუფური საპენსიო სქემა.

4. თუ პირს სურს, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საპენსიო სქემის ან სახელმწიფო პენსიის გარდა, მიიღოს დამატებითი პენსია, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აქტივების მმართველი კომპანიის ან მზღვეველის მიერ ჩამოყალიბებულ და რეგისტრირებულ ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში. ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში მონაწილეობა შეუძლია როგორც დასაქმებულ ფიზიკურ პირს, ისე ნებისმიერ სხვა ფიზიკურ პირს (მათ შორის, თვითდასაქმებულს). ინდივიდუალური საპენსიო სქემის მონაწილეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ერთ ან რამდენიმე ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში. ინდივიდუალური საპენსიო სქემების მონაწილეს შეუძლია საკუთარი საპენსიო დანაგროვი ერთი ინდივიდუალური საპენსიო სქემიდან გადაიტანოს მეორე ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში ამ კანონის შესაბამისად.

5. დასაქმებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ჯგუფურ საპენსიო სქემაში, რომელიც დააფუძნა მისმა დამსაქმებელმა ან იმ დამსაქმებელთა გაერთიანებამ, რომლის წევრიცაა მისი დამსაქმებელი, ან იმ დასაქმებულთა გაერთიანებამ, რომლის წევრიცაა თავად დასაქმებული. დასაქმებულს აგრეთვე შეუძლია სურვილის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს ერთ ან რამდენიმე ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში.

6. დასაქმებულთა გაერთიანების წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დასაქმებულთა გაერთიანების ჯგუფურ საპენსიო სქემაში.

7. დამსაქმებელთა გაერთიანების წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დამსაქმებელთა გაერთიანების ჯგუფურ საპენსიო სქემაში.

8. პროფესიული ორგანიზაციის წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროფესიული ორგანიზაციის ჯგუფურ საპენსიო სქემაში.



9. საპენსიო სქემის მონაწილეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტ ჯგუფურ და ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში.
10. ამ კანონის შესაბამისად, საპენსიო სქემების ჩამოყალიბება და რეგისტრაცია შეუძლიათ შემდეგ იურიდიულ პირებს:
- ა) აქტივების მმართველ კომპანიას;
 - ბ) მზღვეველს;
 - გ) საპენსიო კომპანიას.
11. მხოლოდ აქტივების მმართველ კომპანიასა და მზღვეველს აქვთ უფლება, განახორციელონ ინდივიდუალური საპენსიო სქემის რეგისტრაცია/შეთავაზება.
12. დაუშვებელია ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის განხორციელება ამ კანონის შესაბამისად სამსახურის მიერ გაცემული ლიცენზიის ან/და საპენსიო სქემის რეგისტრაციის გარეშე.
13. დაუშვებელია პირმა სამსახურის მიერ ამ კანონის შესაბამისად გაცემული ლიცენზიის ან/და საპენსიო სქემის რეგისტრაციის გარეშე დასახელებაში გამოიყენოს შემდეგი სიტყვები: „საპენსიო კომპანია“, „საპენსიო ფონდი“, „საპენსიო სქემა“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ სიტყვების გამოყენებით (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გამოყენება დადგენილია ან აღიარებულია საქართველოს კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან როდესაც, ამ სიტყვების/სიტყვათწყობის გამოყენების მიუხედავად, კონტექსტიდან ჩანს, რომ პირი არ ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას).

მუხლი 4. კერძო პენსიის ხელშეკრულება

1. პირი ინდივიდუალური საპენსიო სქემის მონაწილე ხდება აქტივების მმართველ კომპანიასთან, უცხოურ აქტივების მმართველ კომპანიასთან, მზღვეველთან, უცხოურ საპენსიო ორგანიზაციასთან ან უცხოურ სადაზღვევო ორგანიზაციასთან საპენსიო სქემის ხელშეკრულების გაფორმებით.
2. დასაქმებული დამსაქმებლის მიერ საკუთარი დასაქმებულებისთვის ჩამოყალიბებული ჯგუფური საპენსიო სქემის მონაწილე ხდება:
- ა) იმ აქტივების მმართველ კომპანიასთან ან მზღვეველთან კერძო პენსიის ხელშეკრულების გაფორმებით, რომელიც დამსაქმებელთან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე აფუძნებს აღნიშნული დამსაქმებლის ჯგუფურ საპენსიო სქემას;
 - ბ) დამსაქმებლის მიერ საკუთარი დასაქმებულებისთვის ჯგუფური საპენსიო სქემის უზრუნველყოფის მიზნით დაფუძნებულ საპენსიო კომპანიასთან კერძო პენსიის ხელშეკრულების გაფორმებით.
3. დასაქმებული დასაქმებულთა გაერთიანების მიერ ჩამოყალიბებული ჯგუფური საპენსიო სქემის მონაწილე ხდება ამ დასაქმებულსა და შესაბამის დასაქმებულთა გაერთიანებას შორის დადებული ერთობლივი ხელშეკრულების ფარგლებში:
- ა) იმ აქტივების მმართველ კომპანიასთან ან მზღვეველთან კერძო პენსიის ხელშეკრულების გაფორმებით, რომელიც დასაქმებულთა გაერთიანებასთან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე აფუძნებს ამ დასაქმებულთა გაერთიანების ჯგუფურ საპენსიო სქემას;
 - ბ) დასაქმებულთა გაერთიანების მიერ საკუთარი წევრებისთვის ჯგუფური საპენსიო სქემის უზრუნველყოფის მიზნით დაფუძნებულ საპენსიო კომპანიასთან კერძო პენსიის ხელშეკრულების გაფორმებით.
4. დასაქმებული დამსაქმებელთა გაერთიანების მიერ ჩამოყალიბებული ჯგუფური საპენსიო სქემის მონაწილე ხდება დამსაქმებელთა გაერთიანებასა და დასაქმებულის დამსაქმებელთან დადებული



ერთობლივი ხელშეკრულების ფარგლებში:

ა) იმ აქტივების მმართველ კომპანიასთან ან მზღვეველთან კერძო პენსიის ხელშეკრულების გაფორმებით, რომელიც დამსაქმებელთა გაერთიანებასთან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე აფუძნებს ამ დამსაქმებელთა გაერთიანების ჯგუფურ საპენსიო სქემას;

ბ) დამსაქმებელთა გაერთიანების მიერ საკუთარი წევრებისთვის ჯგუფური საპენსიო სქემის უზრუნველყოფის მიზნით დაფუძნებულ საპენსიო კომპანიასთან კერძო პენსიის ხელშეკრულების გაფორმებით.

5. პროფესიული ორგანიზაციის წევრი ამ ორგანიზაციის მიერ ჩამოყალიბებული ჯგუფური საპენსიო სქემის მონაწილე ხდება:

ა) იმ აქტივების მმართველ კომპანიასთან ან მზღვეველთან კერძო პენსიის ხელშეკრულების გაფორმებით, რომელიც პროფესიულ ორგანიზაციასთან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე აფუძნებს ამ პროფესიული ორგანიზაციის ჯგუფურ საპენსიო სქემას;

ბ) პროფესიული ორგანიზაციის მიერ საკუთარი წევრებისთვის ჯგუფური საპენსიო სქემის უზრუნველყოფის მიზნით დაფუძნებულ საპენსიო კომპანიასთან კერძო პენსიის ხელშეკრულების გაფორმებით.

მუხლი 5. კერძო პენსიის ხელშეკრულების ძირითადი პირობები

1. კერძო პენსიის ხელშეკრულება არის წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება, ერთი მხრივ, მონაწილესა და, მეორე მხრივ, აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას შორის.

2. კერძო პენსიის ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს ფიდუციური ვალდებულების მქონე პირის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას ამ კანონის შესაბამისად.

3. კერძო პენსიის ხელშეკრულება ფორმდება განუსაზღვრელი ვადით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ საპენსიო სქემის ხელშეკრულების თითოეული მხარის თანხმობის საფუძველზე.

4. კერძო პენსიის ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს შეთანხმებული საპენსიო სქემა, საინვესტიციო მიდგომა, საინვესტიციო არჩევანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე საპენსიო შენატანების ოდენობა და სიხშირე, საპენსიო დანაგროვის ოდენობაზე საპენსიო სქემის ფინანსური შედეგების ასახვის პირობები და პენსიის გატანის ფორმა და წესი. კერძო პენსიის ხელშეკრულების დამატებით პირობებსა და მოთხოვნებს ადგენს სამსახური.

5. კერძო პენსიის ხელშეკრულებას უნდა ერთოდეს შესაბამისი საპენსიო სქემის წესები.

მუხლი 6. პირადი საპენსიო ანგარიში

1. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია, რომელიც ამ კანონის შესაბამისად არეგისტრირებს საპენსიო სქემას, თითოეულ მონაწილეს შესაბამისი საპენსიო სქემაში გაწევრებისთანავე უქმნის პირად საპენსიო ანგარიშს, რომელზედაც განცალკევებულად ასახავს მონაწილის სასარგებლოდ განხორციელებულ ყველა საპენსიო შენატანს, შესაბამის გადასახდელებს/საკომისიოებს და საპენსიო აქტივების მართვის/ინვესტირების შედეგად მიღებულ მოგებასა და ზარალს.

2. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია თითოეული მონაწილისთვის უზრუნველყოფს პირად საპენსიო ანგარიშზე დისტანციურ ელექტრონულ წვდომას და პირად საპენსიო ანგარიშზე ასახული თითოეული ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

3. საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული ყველა გადასახდელი და საკომისიო უნდა გადაწაწილდეს ინდივიდუალურად და უნდა აღირიცხოს პირად საპენსიო ანგარიშზე. საპენსიო სქემის ფარგლებში



არსებული ყველა გადასახდელი და საკომისიო გონივრული და გამჭვირვალე უნდა იყოს. სამსახური უფლებამოსილია აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველსა და საპენსიო კომპანიას მოსთხოვოს ამ პუნქტით გათვალისწინებული გადასახდელებისა და საკომისიოების გონივრულობის დასაბუთება.

4. თუ ჯგუფური საპენსიო სქემა ითვალისწინებს როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულის საპენსიო შენატანებს, ასეთი ჯგუფური საპენსიო სქემის პირად საპენსიო ანგარიშებზე განცალკევებულად უნდა აღირიცხოს დამსაქმებლის საპენსიო შენატანები, დასაქმებულის საპენსიო შენატანები და შესაბამისი გადასახდელები და საკომისიოები.

მუხლი 7. უფლება საპენსიო აქტივებზე

1. პენსიის მისაღებად საპენსიო აქტივების განკარგვის უფლება წარმოიშობა მხოლოდ მონაწილის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევის, ვადაზე ადრე პენსიაზე გასვლის, მისი შესაძლებლობის შეზღუდვის ან გარდაცვალების შემთხვევაში. მონაწილეს აგრეთვე უფლება აქვს, განკარგოს საპენსიო აქტივები ამ კანონის შესაბამისად საპენსიო სქემის შეწყვეტის ან საპენსიო სქემიდან საპენსიო აქტივების გადატანის შემთხვევაში.

2. პირად საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო აქტივები მონაწილის საკუთრებაა, ამ კანონით განსაზღვრული უპირობო უფლებების პირობების გათვალისწინებით. მონაწილეს უფლება აქვს, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ნებისმიერ დროს განკარგოს საკუთარი საპენსიო აქტივები შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებების გათვალისწინებით.

3. ჯგუფური საპენსიო სქემის შემთხვევაში, რომელიც ითვალისწინებს დამსაქმებლის საპენსიო შენატანებს, თითოეულ პირად საპენსიო ანგარიშზე განთავსებული საპენსიო აქტივების ის ნაწილი, რომელიც დამსაქმებლის მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების შედეგია, მონაწილის საკუთრებაში გადადის საპენსიო აქტივებზე მონაწილის უპირობო უფლებების წარმოშობის მომენტიდან.

4. საპენსიო აქტივები არ ექვემდებარება ჩამორთმევასა და ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, აღსრულების საპროცესო ღონისძიებებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნის უზრუნველყოფის სამუალებებს ან სხვა ნებისმიერი სახის შეზღუდვას ან ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობისა და გაკოტრების პროცედურებს მონაწილის, დამსაქმებლის, აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის, საპენსიო კომპანიის ან სპეციალიზებული დეპოზიტარის მიმართ რაიმე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ნებისმიერი ასეთი მცდელობა ბათილია.

მუხლი 8. დამსაქმებლის საპენსიო შენატანები ჯგუფურ საპენსიო სქემაში

1. დამსაქმებელს შეუძლია განახორციელოს საკუთარი დასაქმებულებისთვის საპენსიო შენატანები ჯგუფურ საპენსიო სქემაში. ამ საპენსიო შენატანების ოდენობა და განხორციელების წესი უნდა განისაზღვროს დამსაქმებელსა და საპენსიო კომპანიას, მზღვეველს, აქტივების მმართველ კომპანიას, დასაქმებულთა გაერთიანებას, პროფესიულ ორგანიზაციას ან დამსაქმებელთა გაერთიანებას შორის დადებული ხელშეკრულებით (ხელშეკრულებით).

2. დამსაქმებელი ვალდებულია საპენსიო შენატანები ჯგუფურ საპენსიო სქემებში, გარდა დასაქმებულთა გაერთიანების ან პროფესიული ორგანიზაციის საპენსიო სქემებისა, განახორციელოს დასაქმებულის სახელით და მის სასარგებლოდ. საპენსიო სქემა შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ დასაქმებული არ განახორციელებს საპენსიო შენატანებს.

3. დამსაქმებელი, რომელიც საპენსიო შენატანებს ახორციელებს, ვალდებულია ეს საპენსიო შენატანები განახორციელოს ინდივიდუალურად თითოეული მონაწილის პირად საპენსიო ანგარიშზე.

4. დამსაქმებლისა და დასაქმებულის საპენსიო შენატანების ოდენობა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს, როგორც ხელფასის პროცენტული მაჩვენებელი, ან თანხის ნომინალური მოცულობის სახით, აგრეთვე საპენსიო შენატანების გადახდის პერიოდულობა უნდა განისაზღვროს ამ კანონის შესაბამისად გაფორმებული კერძო პენსიის ხელშეკრულებით.



5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირობები აგრეთვე შეიძლება აისახოს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში.

6. დამსაქმებელი, რომელიც საკუთარ დასაქმებულებს ჯგუფური საპენსიო სქემით უზრუნველყოფს, ვალდებულია დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:

ა) შესთავაზოს და თანაბრად უზრუნველყოს ყველა არსებული დასაქმებულის მონაწილეობა საპენსიო სქემაში გამჭვირვალედ და დისკრიმინაციის გარეშე;

ბ) ყველა ახალ დასაქმებულს შესთავაზოს საპენსიო სქემაში გაწევრება და უზრუნველყოს მათი უფლება, მიიღონ გადაწყვეტილება საპენსიო სქემაში მონაწილეობის შესახებ;

გ) შრომითი ხელშეკრულების დადებისას დასაქმებულს შესთავაზოს შესაბამისი საპენსიო სქემის ხელშეკრულების გაფორმება;

დ) ყველა დასაქმებულს აცნობოს საპენსიო სქემის ყველა პირობა, უზრუნველყოს მათი უფლება, უარი თქვან საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე, ხოლო საპენსიო სქემაში მათი მონაწილეობის შემთხვევაში – განუსაზღვროს გონივრული ვადა საპენსიო სქემაში გაწევრებისთვის;

ე) რეგულარულად, მაგრამ კალენდარული წლის განმავლობაში არანაკლებ ერთხელ, ხოლო საპენსიო სქემის პირობებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში – ნებისმიერ ასეთ დროს, უზრუნველყოს დასაქმებულის უფლება, გაწევრდეს საპენსიო სქემაში, რომელშიც მონაწილეობაზე მანამდე მან უარი განაცხადა.

7. თუ საპენსიო შენატანების გადახდას, როგორც შრომის ანაზღაურების ნაწილს, მხოლოდ დამსაქმებელი ახორციელებს, დამსაქმებელი ვალდებულია ასეთ საპენსიო სქემაში გააწევროს მისი ყველა დასაქმებული. თუ დამსაქმებელი ასეთი საპენსიო სქემის პირობებში საპენსიო აქტივების საკუთრებაზე გაავრცელებს უპირობო უფლებების წარმოშობის გრაფიკს, ეს გრაფიკი უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონის მოთხოვნებს და იგი უნდა აისახოს შესაბამის კერძო პენსიის ხელშეკრულებაში.

8. დასაქმებული, რომელსაც დამსაქმებელთან დადებული აქვს კერძო პენსიის ხელშეკრულება ჯგუფური საპენსიო სქემის ფარგლებში, ჯგუფურ საპენსიო სქემაში მონაწილეობს შესაბამის დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობის ვადის განმავლობაში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე, საპენსიო ასაკის მიღწევამდე, ვადაზე ადრე პენსიაზე გასვლამდე, შეზღუდული შესაძლებლობის ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მინიჭებამდე ან გარდაცვალებამდე.

9. შესაბამის დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დასაქმებულს უფლება აქვს, საპენსიო აქტივები გადაიტანოს სხვა საპენსიო სქემაში ან დატოვოს დამსაქმებლის მიმდინარე ჯგუფურ საპენსიო სქემაში. ამ შემთხვევაში საპენსიო შენატანების შემდგომი გადახდის, საპენსიო დანაგროვის შემდგომი ფორმირების და პენსიის გადახდის პირობები ასახული უნდა იყოს შესაბამის კერძო პენსიის ხელშეკრულებაში.

10. საპენსიო კომპანიის, აქტივების მმართველი კომპანიის ან მზღვეველის მიერ კერძო პენსიის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ძალაში რჩება მონაწილისთვის ამ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, ხოლო მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში – მისი მემკვიდრისთვის/ბენეფიციარისთვის პენსიის სრულად გადახდამდე.

მუხლი 9. დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების და დასაქმებულთა გაერთიანების მიერ ჩამოყალიბებულ ჯგუფურ საპენსიო სქემებში მონაწილე დასაქმებულების უპირობო უფლებები დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებზე

1. ჯგუფური საპენსიო სქემის ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს მონაწილისთვის საპენსიო აქტივებზე საკუთრების უპირობო უფლებების მინიჭება არაუმეტეს 5-წლიანი შრომითი ურთიერთობების შემდეგ საპენსიო აქტივების იმ ნაწილზე, რომელიც დამსაქმებლის მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების შედეგია. თუ შრომითი ურთიერთობა ვადამდე შეწყდა, ჯგუფური საპენსიო სქემის ფარგლებში დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებზე



მონაწილე დასაქმებულს უპირობო უფლებები მიენიჭება ეტაპობრივად, არანაკლებ შემდეგი პერიოდულობითა და ოდენობებით:

- ა) 20% – დასაქმების პირველი წლის დასრულების შემდეგ;
- ბ) 40% – დასაქმების მეორე წლის დასრულების შემდეგ;
- გ) 60% – დასაქმების მესამე წლის დასრულების შემდეგ;
- დ) 80% – დასაქმების მეოთხე წლის დასრულების შემდეგ;
- ე) 100% – დასაქმების მეხუთე წლის დასრულების შემდეგ.

2. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 46-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდი, მიუხედავად ანაზღაურებისა, ჩაითვლება უპირობო უფლებების მინიჭების პერიოდში.

3. ჯგუფური საპენსიო სქემა შეიძლება ითვალისწინებდეს დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებზე მონაწილისთვის უპირობო უფლების მინიჭების ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულისგან განსხვავებულ, მაგრამ მისთვის არანაკლებ ხელსაყრელ განრიგს.

4. თუ საპენსიო სქემის წესებით გათვალისწინებული არ არის საპენსიო აქტივებზე უპირობო უფლებების მინიჭების წესი, პირად საპენსიო ანგარიშზე პირველი საპენსიო შენატანების განხორციელების მომენტიდან მონაწილეს ენიჭება დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებზე უპირობო უფლება.

5. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებულს უნარჩუნდება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მომენტისთვის საპენსიო აქტივებზე ამ კანონის შესაბამისად არსებული ან მინიჭებული უპირობო უფლებები.

6. დამსაქმებელს ეკრძალება, დასაქმებულის მიმართ განახორციელოს მუქარა ან განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომელიც შელახავს საპენსიო აქტივებზე დასაქმებულის უპირობო უფლებას ან ასეთი უფლების განხორციელების შესაძლებლობას.

7. დამსაქმებელს ეკრძალება, შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა საპენსიო აქტივებზე დასაქმებულის უპირობო უფლების წარმოშობის პრევენციის მიზნით. თუ სასამართლო დაადგენს, რომ შრომითი ურთიერთობა შეწყდა უკანონოდ, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდი ჩაითვლება დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებზე უპირობო უფლებების მინიჭების პერიოდად.

8. დამსაქმებლის სადამფუძნებლო სტრუქტურის შეცვლის შემთხვევაში, რაც გულისხმობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერი სახის რეორგანიზაციას, აგრეთვე დამსაქმებლის ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების, გაკოტრების ან რეაბილიტაციის პროცესის დაწყების შემთხვევაში დასაქმებული ინარჩუნებს ჯგუფური საპენსიო სქემის ფარგლებში საპენსიო აქტივებზე ამ კანონის შესაბამისად მისთვის მინიჭებულ უპირობო უფლებებს.

9. ჯგუფური საპენსიო სქემის ფარგლებში დამსაქმებლის მიერ განხორციელებული ის საპენსიო შენატანები, რომლებზედაც დასაქმებულს მიენიჭება უპირობო უფლებები, არ შეიძლება დაუბრუნდეს დამსაქმებელს.

მუხლი 10. პროფესიული ორგანიზაციის, დამსაქმებელთა გაერთიანების და დასაქმებულთა გაერთიანების ჯგუფური საპენსიო სქემები

პროფესიული ორგანიზაციის, დამსაქმებელთა გაერთიანებისა და დასაქმებულთა გაერთიანების ჯგუფურ საპენსიო სქემებზე ვრცელდება ამ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები და პირობები.



თავი III

საპენსიო კომპანიის დაფუძნება და ლიცენზირება

მუხლი 11. საპენსიო კომპანიის დაფუძნება

1. საპენსიო კომპანია შეიძლება ჩამოყალიბდეს სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საპენსიო კომპანია საპენსიო საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ სამსახურის მიერ ამ კანონის შესაბამისად მისი ლიცენზირების მომენტიდან. საპენსიო კომპანიის ჯგუფური საპენსიო სქემის მონაწილეები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ამ საპენსიო კომპანიის დამფუძნებლის (დამფუძნებლების) წევრები/დასაქმებულები.

2. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული საწარმოს მიერ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის აღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ საწარმოს ხმის უფლების მქონე ყველა აქციონერი/პარტნიორი.

3. დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების, დასაქმებულთა გაერთიანებისა და პროფესიული ორგანიზაციის მიერ საპენსიო კომპანიის დასაფუძნებლად აუცილებელია მათი შესაბამისი მართვის ორგანოს გადაწყვეტილება.

მუხლი 12. საპენსიო კომპანიის წესდება

1. საპენსიო კომპანიის ამ მუხლის შესაბამისად შედგენილი წესდება საპენსიო კომპანიის ლიცენზირებისთვის სავალდებულო დოკუმენტია.

2. საქართველოში დაფუძნებული საპენსიო კომპანიის წესდება არ უნდა შეიცავდეს დებულებას, რომელიც:

ა) ეწინააღმდეგება ამ კანონს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) არასამართლიანია საპენსიო სქემების მონაწილეების ინტერესებთან მიმართებით.

3. საქართველოში დაფუძნებული საპენსიო კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს ან/და ინფორმაციას:

ა) საპენსიო კომპანიის სახელწოდებას;

ბ) საპენსიო კომპანიის მიზნისა და სამიზნე ჯგუფის შესახებ;

გ) საპენსიო კომპანიის წესდებაში ცვლილების შეტანის წესებისა და პროცედურის შესახებ;

დ) საპენსიო მომსახურების მიწოდების განუსაზღვრელი ვადის შესახებ;

ე) საპენსიო კომპანიის მართვის ორგანოების ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების აღწერას;

ვ) საპენსიო აქტივების სამართავად დაქირავებული აქტივების მმართველი კომპანიისა და მზღვეველის ჩანაცვლების პირობების თაობაზე, ხოლო მათი ჩანაცვლების შემთხვევაში – მონაწილეების დაცვის გარანტიებისა და მექანიზმების შესახებ;

ზ) სპეციალიზებული დეპოზიტარის ჩანაცვლების პირობების თაობაზე, ხოლო მისი ჩანაცვლების შემთხვევაში – მონაწილეების დაცვის გარანტიებისა და მექანიზმების შესახებ.

მუხლი 13. საპენსიო კომპანიის მართვა და ხელმძღვანელობა

1. საპენსიო კომპანიის მართვის ორგანოებია: საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი



ორგანო.

2. საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ამ კანონის მიზნებისთვის არიან ფიდუციური ვალდებულების მქონე პირები საპენსიო სქემების მონაწილეების მიმართ და ვალდებული არიან დაიცვან და შეასრულონ ამ კანონით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა და ვალდებულება.

3. საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს ყველა წევრი უნდა აკმაყოფილებდეს სამსახურის მიერ დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს.

4. გარდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობებისა, საპენსიო კომპანიის წესდებით უნდა განისაზღვროს საპენსიო კომპანიის მართვის ორგანოებს (სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ ორგანოს) შორის ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება. ეს წესდება სულ მცირე უნდა შეიცავდეს შემდეგ ფუნქცია-მოვალეობებს:

ა) საბანკო ანგარიშის გახსნას კომერციულ ბანკში, მათ შორის, საპენსიო შენატანების განსახორციელებლად;

ბ) სპეციალიზებული დეპოზიტარის (დეპოზიტარების) და აქტივების მმართველი კომპანიის (კომპანიების) ან/და მზღვეველის (მზღვეველების) შერჩევას;

გ) ხელშეკრულებების შეთანხმებასა და გაფორმებას აქტივების მმართველ კომპანიასთან (კომპანიებთან) ან/და მზღვეველთან (მზღვეველებთან), სპეციალიზებულ დეპოზიტარსა და საინვესტიციო ან ადმინისტრაციული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერი მომსახურების ან/და საქონლის მიმწოდებელ პირებთან;

დ) ხელშეკრულებების შეთანხმებასა და გაფორმებას საბუღალტრო, აუდიტორული, იურიდიული, აქტუარული მომსახურებებისა და საპენსიო კომპანიისთვის საჭირო სხვა მომსახურების გამწევ პირებთან;

ე) აქტივების მმართველი კომპანიისგან (კომპანიებისგან) ან/და მზღვეველისგან (მზღვეველებისგან), სპეციალიზებული დეპოზიტარისგან (დეპოზიტარებისგან) და სხვა მომსახურების გამწევი პირებისგან საპენსიო კომპანიის სახელით განხორციელებული ნებისმიერი გარიგების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის, საპენსიო კომპანიის მფლობელობაში არსებული აქციების/წილების შესაბამისად განხორციელებული ხმის უფლების თაობაზე ინფორმაციის, მოთხოვნას, მიღებას და განხილვას;

ვ) საინვესტიციო პოლიტიკისა და რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტების მიღებას და დამტკიცებას საპენსიო კომპანიის მიერ რეგისტრირებული თითოეული საპენსიო სქემისთვის;

ზ) აქტივების მმართველ კომპანიასთან, მზღვეველთან, სპეციალიზებულ დეპოზიტარსა და სხვა საპენსიო მომსახურების გამწევ პირებთან შესაბამისი ხელშეკრულებების შეწყვეტას და მათი ჩანაცვლების უზრუნველყოფას;

თ) პირადი საპენსიო ანგარიშის შექმნისა და ფუნქციონირების მექანიზმების შემუშავებას და დანერგვას;

ი) საპენსიო კომპანიის საქმიანობისთვის აუცილებელი დაზღვევის და უძრავი ქონების ან მოძრავი ქონების (მათ შორის, აღჭურვილობის ან პროგრამული უზრუნველყოფის) შეძენისა და განკარგვის ხელშეკრულებების, მათ შორის, იჯარის, ქირავნობის ხელშეკრულებების, შეთანხმებას და გაფორმებას;

კ) საპენსიო კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოს სტრუქტურის ჩამოყალიბებას, საპენსიო კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრას, საპენსიო კომპანიის თანამშრომლების დაქირავებას და კონკურენტუნარიანი საკომპენსაციო სტრუქტურის ჩამოყალიბებას;

ლ) საპენსიო აქტივების ინვესტირებასთან დაკავშირებული აქტივების მართვის გონივრული გადასახდელიების, მათ შორის, საპენსიო აქტივების გადაცემის საფასურის, საპენსიო აქტივების



მართვის საფასურის და საპენსიო აქტივების მართვის შედეგების საფასურის, განსაზღვრას;

მ) საპენსიო სქემის წესების განსაზღვრას და დამტკიცებას;

ნ) ამ კანონით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 14. საპენსიო კომპანიის ლიცენზირება

1. საპენსიო კომპანიას ეკრძალება საპენსიო საქმიანობის განხორციელება საქართველოში ან მისი ფარგლების გარეთ სამსახურის მიერ გაცემული ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე.

2. ამ კანონის შესაბამისად, საქართველოში საპენსიო კომპანია შეიძლება დააფუძნოს:

ა) დამსაქმებელმა;

ბ) დამსაქმებელთა გაერთიანებამ;

გ) დასაქმებულთა გაერთიანებამ;

დ) პროფესიულმა ორგანიზაციამ.

3. აქტივების მმართველ კომპანიასა და მზღვეველს უფლება აქვთ, საკუთარი დასაქმებულების პენსიით უზრუნველსაყოფად დაარეგისტრირონ საპენსიო სქემები საპენსიო კომპანიის დაფუძნების გარეშე იმ პირობით, რომ საპენსიო სქემის მართვასა და საპენსიო აქტივებთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა განხორციელდება მათი სხვა საქმიანობისგან დამოუკიდებლად და დაცული იქნება ამ კანონის ყველა მოთხოვნა.

მუხლი 15. უცხოური საპენსიო ორგანიზაცია

1. უცხოური საპენსიო ორგანიზაცია უფლებამოსილია ამ კანონის შესაბამისად საქართველოში დაარეგისტრიროს საპენსიო სქემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს სათანადო უცხოური საზედამხებდევლო ორგანოს შესაბამისი ნებართვა და მისი საქმიანობა ექვემდებარება პრუდენციულ რეგულირებას კეთილსაიმედოობის, დაცულობისა და გამჭვირვალობის სტანდარტების გათვალისწინებით.

2. უცხოური საპენსიო ორგანიზაცია უფლებამოსილია დამატებითი ლიცენზირების გარეშე, სამსახურის მიერ აღიარების საფუძველზე და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაარსებული ფილიალის მეშვეობით საქართველოში დაარეგისტრიროს საპენსიო სქემა და განახორციელოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა. სამსახური განსაზღვრავს უცხოური საპენსიო ორგანიზაციის აღიარების და ცალკეული მოთხოვნების შესრულებისგან გათავისუფლების პროცედურასა და წესს.

მუხლი 16. საპენსიო კომპანიის ლიცენზირების პირობები

ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის მოსაპოვებლად ლიცენზიის მაძიებელმა სამსახურს, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) ლიცენზიის მაძიებლის სადამფუძნებლო დოკუმენტები, მათ შორის, წესდება, ამ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით;

ბ) ლიცენზიის მაძიებლის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების/პარტნიორების საიდენტიფიკაციო დოკუმენტები და ინფორმაცია;



გ) ლიცენზიის მამიებლის მართვის ორგანოების წევრების საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, აგრეთვე ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ ისინი აკმაყოფილებენ სამსახურის მიერ დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს საპენსიო კომპანიის ჯანსაღი და კეთილგონივრული მართვის საჭიროების გათვალისწინებით;

დ) ლიცენზიის მამიებლის ხელმძღვანელი ორგანოს წევრების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს მათ საკმარისად კარგ რეპუტაციასა და საკმარის გამოცდილებას;

ე) იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების სია, რომლებსაც აქვთ მჭიდრო კავშირი, რომლებიც აკონტროლებენ ან კონტროლდებიან ლიცენზიის მამიებლის დამფუძნებლის (დამფუძნებლების), ლიცენზიის მამიებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან/და ლიცენზიის მამიებლის ხელმძღვანელი ორგანოს წევრების მიერ;

ვ) ლიცენზიის მამიებელსა და აქტივების მმართველ კომპანიას ან მზღვეველს შორის დასადები ხელშეკრულების ნიმუში/პროექტი, აგრეთვე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აქტივების მმართველი კომპანიის უფლებას, განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა;

ზ) ლიცენზიის მამიებლის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი იურიდიული პირის – აქციონერის/პარტნიორის ბოლო ფინანსური წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება ან ნახევარი წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, თუ ბოლო აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან ლიცენზიის შესახებ განაცხადის წარდგენის თარიღამდე 6 თვეზე მეტია გასული. თუ ამ იურიდიული პირის დაფუძნებიდან გასული არ არის 6 თვე, იგი სამსახურს მხოლოდ არააუდიტირებულ მიმდინარე ბალანსს წარუდგენს;

თ) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ ლიცენზიის მამიებელ კომპანიას აქვს საკმარისი ოდენობის საკუთარი კაპიტალი მომდევნო 2 წლის განმავლობაში საოპერაციო, ადმინისტრაციული და საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო სხვა ხარჯების დასაფინანსებლად. საკუთარი კაპიტალის ოდენობის განსაზღვრის მინიმალურ მოთხოვნებსა და წესს ადგენს სამსახური;

ი) საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების (დაწესებულებების) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი დამფუძნებლების მიერ მინიმალური კაპიტალის ფულადი ფორმით სრულად შევსებისა და ამ ფულადი თანხის საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) განთავსების შესახებ, რომლის მინიმალურ ოდენობას ნორმატიული აქტის საფუძველზე ადგენს სამსახური;

კ) საქმიანობის დაწყებიდან მომდევნო 2 წლის საოპერაციო გეგმა, სამსახურის მიერ დადგენილი ძირითადი მონაცემებისა და ფორმის შესაბამისად;

ლ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 17. საპენსიო კომპანიისთვის ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე ან აღიარებაზე უარის თქმის საფუძვლები

1. სამსახურის მიერ საპენსიო კომპანიისთვის ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე ან აღიარებაზე უარის თქმის საფუძვლებია:

ა) ლიცენზიის მისაღებად წარდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება ამ კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებსა და პირობებს;

ბ) საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს წევრები არ აკმაყოფილებენ შესაფერისობის კრიტერიუმებს ან არ აქვთ საკმარისი გამოცდილება, განავითარონ და განსაზღვრონ საპენსიო სქემების საინვესტიციო სტრატეგია, რომელსაც აქტივების მმართველი კომპანიები და მზღვეველები განახორციელებენ;

გ) საპენსიო კომპანიის მიერ შერჩეული აქტივების მმართველი კომპანია ან მზღვეველი, მათ შორის, უცხოური აქტივების მმართველი კომპანია ან უცხოური სადაზღვევო ორგანიზაცია, ვერ აკმაყოფილებს საპენსიო აქტივების მართვის საქმიანობისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს შესაბამისი



კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

დ) უცხოური საპენსიო ორგანიზაციის შემთხვევაში – უცხო ქვეყანა, სადაც უცხოური საპენსიო ორგანიზაცია არის დაფუძნებული, შედის ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ დამტკიცებულ არაკოოპერირებადი (არამოთანამშრომლე) ქვეყნებისა და ტერიტორიების ნუსხაში;

ე) უცხოური საპენსიო ორგანიზაციის შემთხვევაში – უცხოური საპენსიო ორგანიზაცია უფლებამოსილი არ არის ან მას შეჩერებული აქვს უფლებამოსილება, განახორციელოს საპენსიო საქმიანობა იმ ქვეყანაში, სადაც ის რეგისტრირებულია/დაფუძნებულია;

ვ) მჭიდრო კავშირმა შესაძლოა შეაფერხოს სამსახურის მიერ საზედამხედველო ფუნქციების ეფექტიანი შესრულება;

ზ) არსებობს საპენსიო კომპანიის ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე ან აღიარებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

2. სამსახური ვალდებულია შესაბამისი განაცხადის მიღებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის/აღიარების ან ლიცენზიის გაცემაზე/აღიარებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სამსახური განმცხადებელს დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს დასაბუთებულ უარს.

მუხლი 18. ვადების ათვლა და სამსახურისთვის დოკუმენტების წარდგენის წესი

1. ამ კანონით განსაზღვრული ვადების ათვლისას არ გაითვალისწინება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელს სამსახურის მითითებით უნდა წარედგინა განაცხადის განხილვისთვის საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში განაცხადის განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

2. სამსახურს უნდა წარედგინოს ამ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი დოკუმენტის დედანი ან მისი სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

მუხლი 19. საპენსიო კომპანიასთან დაკავშირებული ცვლილებების განხორციელება

1. საპენსიო კომპანია ვალდებულია სამსახურს წინასწარ შეატყობინოს საპენსიო კომპანიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შესახებ, თუ ეს ცვლილება შეეხება საპენსიო კომპანიის ლიცენზირების პირობებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების განხორციელება დასაშვებია, თუ სამსახური შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში განმცხადებელს არ აცნობებს ცვლილების განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით, რის შესახებაც სამსახური წინასწარ აცნობებს განმცხადებელს.

მუხლი 20. ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების რეესტრი

1. სამსახური ვალდებულია შექმნას და აწარმოოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების რეესტრი და თავისი ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით საჯარო გახადოს მათ შესახებ ინფორმაცია.

2. თითოეულ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტს რეესტრში უნდა მიენიჭოს შესაბამისი კოდი.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ რეესტრში აღნიშნული უნდა იყოს თითოეული ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მის მიერ დაქირავებული აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის სახელწოდებები, ინფორმაცია ცვლილებების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე ინფორმაცია შესაბამისი სუბიექტის მიმართ ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეწყვეტის



ნებისმიერი ფორმის მიმდინარეობის თაობაზე და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია.

4. მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რეგისტრაციისას დაეყრდნოს სამსახურის მიერ წარმოებულ ამ მუხლით გათვალისწინებულ რეესტრს.

მუხლი 21. უცხოური საპენსიო ორგანიზაციის აღიარების პირობები

1. სამსახური უფლებამოსილია უცხოური საპენსიო კომპანია აღიაროს საქართველოში საპენსიო სქემების განხორციელებაზე უფლებამოსილად, თუ:

ა) შესაბამისმა უცხოურმა საზედამხედველო ორგანომ გასცა შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია/ნებართვა და მისი საქმიანობა სათანადოდ რეგულირდება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით;

ბ) უცხო ქვეყანა, სადაც უცხოური საპენსიო ორგანიზაცია არის დაფუძნებული, არ შედის ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ დამტკიცებულ არაკოოპერირებადი (არამოთანამშრომლე) ქვეყნებისა და ტერიტორიების ნუსხაში;

გ) უცხოურმა საპენსიო ორგანიზაციამ საქართველოში დააფუძნა ფილიალი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სამსახური უფლებამოსილია ნორმატიული აქტით დაადგინოს უცხოური საპენსიო ორგანიზაციის აღიარების წესი და დამატებითი პირობები, რომელთა საფუძველზედაც აღიარებული საპენსიო ორგანიზაციები გათავისუფლდებიან ამ კანონით გათვალისწინებული ცალკეული მოთხოვნების შესრულებისგან, თუ უცხო ქვეყნის კანონმდებლობა, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან, ადგენს სულ მცირე საქართველოში მოქმედ მარეგულირებელი ჩარჩოს ეკვივალენტურ მოთხოვნებს.

თავი IV

საპენსიო სქემის რეგისტრაცია

მუხლი 22. საპენსიო სქემის რეგისტრაცია

1. აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველსა და საპენსიო კომპანიას უფლება აქვთ, დააფუძნონ ერთზე მეტი საპენსიო სქემა. თითოეული საპენსიო სქემა უნდა დარეგისტრირდეს სამსახურში.

2. აქტივების მმართველმა კომპანიამ და მზღვეველმა ინდივიდუალური საპენსიო სქემის რეგისტრაციისთვის სამსახურს უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) აქტივების მმართველი კომპანიის ან მზღვეველის საქმიანობის შესაბამისი ლიცენზია;

ბ) საპენსიო სქემის წესები;

გ) აქტივების მმართველ კომპანიასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სპეციალიზებულ დეპოზიტართან გაფორმებული ხელშეკრულებები;

დ) ინდივიდუალური საპენსიო სქემის მონაწილეებთან გასაფორმებელი სტანდარტული ხელშეკრულებისა და სხვა დოკუმენტების ნიმუშები;

ე) საპენსიო სქემის სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. აქტივების მმართველმა კომპანიამ, მზღვეველმა და საპენსიო კომპანიამ ჯგუფური საპენსიო სქემის რეგისტრაციისთვის სამსახურს უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:



- ა) ჯგუფის აღწერა, რომლის უზრუნველსაყოფადაც რეგისტრირდება საპენსიო სქემა;
- ბ) საპენსიო კომპანიის მიერ ჯგუფური საპენსიო სქემის რეგისტრაციის შემთხვევაში – მისი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია;
- გ) აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვევლის ან საპენსიო კომპანიის შესაბამისი ლიცენზია;
- დ) ჯგუფური საპენსიო სქემის განმახორციელებელ საპენსიო კომპანიასთან, შესაბამის აქტივების მმართველსა და მზღვეველთან მჭიდრო კავშირში მყოფი ყველა პირის სია და მათი კავშირების ხასიათი;
- ე) საპენსიო სქემის წესები, მათ შორის, ისეთი ჯგუფური საპენსიო სქემის შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც დამსაქმებელი ახორციელებს საპენსიო შენატანებს, დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ საპენსიო შენატანების გადახდის მარეგულირებელი წესები (მათ შორის, საპენსიო შენატანების ფორმა ხელფასის პროცენტის თუ ნომინალური თანხის სახით, გადახდის პერიოდულობა, საპენსიო აქტივებზე უპირობო უფლებების მინიჭების წესები, პირად საპენსიო ანგარიშებთან, მონაწილეების/ბენეფიციარების განცხადებებსა და პენსიების გადახდასთან დაკავშირებული წესები და სხვა);
- ვ) ერთობლივი ხელშეკრულებები, საჭიროების შემთხვევაში;
- ზ) აქტივების მმართველ კომპანიასთან, მზღვეველსა და სპეციალიზებულ დეპოზიტართან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- თ) ჯგუფური საპენსიო სქემის მონაწილეებთან გასაფორმებელი სტანდარტული ხელშეკრულებისა და სხვა დოკუმენტების ნიმუშები;
- ი) საპენსიო სქემის სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
4. სამსახური ვალდებულია შესაბამისი განაცხადის მიღებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის თაობაზე ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში სამსახური განმცხადებელს დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს დასაბუთებულ უარს.
5. სამსახურს უფლება აქვს, განმცხადებელს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარდგენა. ამ შემთხვევაში მოქმედებს ამ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადების ათვლის წესი.
6. სამსახურს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში გამოიკვლიოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი.

თავი V

სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურება საპენსიო სქემებისთვის

მუხლი 23. დამოუკიდებელი სპეციალიზებული დეპოზიტარის მოთხოვნა

- ყველა რეგისტრირებულმა საპენსიო სქემამ უნდა ისარგებლოს შესაბამისად უფლებამოსილი სპეციალიზებული დეპოზიტარების მომსახურებით. სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად, სამართლიანად, პროფესიონალურად, დამოუკიდებლად და მხოლოდ მონაწილეების ინტერესების სასარგებლოდ.
- მონაწილეების საპენსიო აქტივების დაცვის უზრუნველსაყოფად და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად აქტივების მართვის მომსახურება და სპეციალიზებული დეპოზიტარების მომსახურება ერთსა და იმავე საპენსიო სქემისთვის არ უნდა გასწიოს ერთმა და იმავე პირმა ან არ უნდა გასწიონ მჭიდროდ დაკავშირებულმა პირებმა.



3. მზღვეველს შეუძლია გასწიოს აქტივების მართვის მომსახურება მის მიერ დაარსებული საპენსიო სქემებისთვის.

4. საპენსიო კომპანია უნდა სარგებლობდეს ერთმანეთისგან იურიდიულად დამოუკიდებელი აქტივების მმართველი კომპანიებისა და სპეციალიზებული დეპოზიტარების მომსახურებით, რომლებიც არ უნდა იყვნენ ერთი და იმავე სუბიექტის ან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სუბიექტების საკუთრებაში ან მმართველობის ქვეშ.

მუხლი 24. სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციების შესრულებაზე უფლებამოსილი იურიდიული პირები

1. საპენსიო სქემის დამფუძნებელი აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ან/და ხელმძღვანელი ორგანო უზრუნველყოფს, რომ თითოეული საპენსიო სქემის ფარგლებში დაინიშნოს ერთი ან ერთზე მეტი სპეციალიზებული დეპოზიტარი ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. სპეციალიზებული დეპოზიტარი უნდა დაინიშნოს წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. ეს ხელშეკრულება, სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს იმ ინფორმაციის ცვლას, რომელიც აუცილებელია სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ საკუთარი ფუნქციების ამ კანონის შესაბამისად შესასრულებლად.

3. სპეციალიზებული დეპოზიტარი შეიძლება იყოს საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული სხვა იურიდიული პირი, რომელსაც უფლება აქვს, განახორციელოს ფინანსური ინსტრუმენტების შენახვის მომსახურება.

მუხლი 25. სპეციალიზებული დეპოზიტარების ფუნქციები და მოვალეობები

1. საპენსიო სქემის მომსახურე სპეციალიზებული დეპოზიტარი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ასრულებს სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს.

2. სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია:

ა) შეინახოს და აწარმოოს საპენსიო სქემის საპენსიო აქტივების შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტების გამჭვირვალე, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ჩანაწერები, აგრეთვე სხვა აქტივების ჩანაწერები, რომლებიც არ შეიძლება ინახებოდეს სპეციალიზებულ დეპოზიტართან მარეგულირებელი წესებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) შეაჯეროს ყველა ანგარიში, აწარმოოს თითოეული საპენსიო სქემის საპენსიო აქტივების გამოცალკევებული ანგარიში და უზრუნველყოს ასეთი საპენსიო აქტივების სააღრიცხვო გამიჯვნა;

გ) უზრუნველყოს საპენსიო სქემის ფულადი ნაკადების სათანადო მონიტორინგი, მათ შორის, უზრუნველყოს მონაწილეების მიერ ან მათი სახელით განხორციელებული ყველა გადახდის მიღება და საპენსიო აქტივების მდგენელი ყველა სხვა შემოსული თანხის ასახვა აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის მიერ შერჩეული კომერციული ბანკის შესაბამის საბანკო ანგარიშებზე;

დ) სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულოს აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის მითითებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება მარეგულირებელ კანონმდებლობას, სადამფუძნებლო დოკუმენტსა და საინვესტიციო პოლიტიკას;

ე) უზრუნველყოს, რომ საპენსიო აქტივებთან დაკავშირებული გადახდები განხორციელდეს დროულად;



ვ) აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის მიერ ამ კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტის ან საინვესტიციო მოთხოვნების არსებითი დარღვევის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაცია მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობოს სამსახურს;

ზ) შეასრულოს საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტითა და სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.

3. სპეციალიზებული დეპოზიტარი არის ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი და შესაბამისად პასუხისმგებელია აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის, აგრეთვე მონაწილისა და ბენეფიციარის წინაშე.

4. დეპონირებული ფინანსური ინსტრუმენტის დაკარგვის შემთხვევაში სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია საპენსიო სქემის დამფუძნებელ აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას დაუყოვნებლივ დაუბრუნოს იმავე ტიპის ფინანსური ინსტრუმენტი ან შესაბამისი თანხა. სპეციალიზებულ დეპოზიტარს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ იგი დაამტკიცებს, რომ დეპონირებული ფინანსური ინსტრუმენტის დაკარგვა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა, და დამდგარი შედეგი გარდაუვალი იქნებოდა, მიუხედავად გამოყენებული ყველა გონივრული ძალისხმევისა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სპეციალიზებული დეპოზიტარი საპენსიო სქემის დამფუძნებელი აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის, აგრეთვე მონაწილისა და ბენეფიციარის წინაშე პასუხისმგებელია ნებისმიერი სხვა ზარალისთვის, რომელიც მათ მიადგათ მისი გაუფრთხილებლობით ან ამ კანონით ან ამ კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების მის მიერ განზრახ არაჯეროვანი შესრულების შედეგად.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ სპეციალიზებული დეპოზიტარის პასუხისმგებლობაზე გავლენას არ ახდენს სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციების მესამე პირისთვის გადაცემა.

7. დაუშვებელია ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა შეთანხმების საფუძველზე.

8. საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, ნორმატიული აქტით დააზუსტოს სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულების პირობები.

მუხლი 26. ზრუნვის მოვალეობა და ინტერესთა კონფლიქტი

1. საპენსიო სქემის მომსახურე სპეციალიზებული დეპოზიტარი მოქმედებს კეთილსინდისიერად, სამართლიანად, პროფესიონალურად, დამოუკიდებლად და მხოლოდ მონაწილისა და ბენეფიციარის ინტერესებიდან გამომდინარე.

2. არცერთ პირს არ შეუძლია ერთდროულად იმოქმედოს, როგორც აქტივების მმართველმა კომპანიამ და სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა, ერთსა და იმავე საპენსიო სქემასთან მიმართებით.

3. საპენსიო სქემის სპეციალიზებულ დეპოზიტარს ეკრძალება საპენსიო სქემასთან დაკავშირებით ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელმაც შესაძლებელია წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, სპეციალიზებულ დეპოზიტარსა და, მეორე მხრივ, საპენსიო სქემას, მის დამფუძნებლებს, მონაწილეებს, საპენსიო სქემის საპენსიო აქტივების მმართველ კომპანიას ან/და მზღვეველს შორის. აღნიშნული არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც სპეციალიზებულ დეპოზიტარს საკუთარი დეპოზიტარული ფუნქციები ფუნქციურად და იერარქიულად განცალკევებული აქვს სხვა, პოტენციურად ინტერესთა კონფლიქტის წარმომშობი საქმიანობისგან და იგი სათანადოდ მართავს და აკონტროლებს პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს და ამგვარი პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი გამჟღავნებულია საპენსიო სქემის დამფუძნებლებისა და მონაწილეებისთვის.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი ნორმატიული აქტით ადგენს პირობებს, რომელთა შესრულების



შემთხვევაში მიიჩნევა, რომ სპეციალიზებული დეპოზიტარი შეესაბამება ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 27. საპენსიო სქემის აქტივების განცალკევება სპეციალიზებული დეპოზიტარის აქტივებისგან

1. სპეციალიზებული დეპოზიტარი საპენსიო სქემის აქტივებს ინახავს საკუთარი აქტივებისა და სხვა კლიენტების აქტივებისგან ან სხვა საპენსიო სქემების აქტივებისგან განცალკევებით. საპენსიო აქტივები, რომლებიც ინახება სპეციალიზებულ დეპოზიტართან ან მესამე პირთან, რომელსაც სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციები მიენიჭა, არ ექვემდებარება აღსრულებას ასეთი სპეციალიზებული დეპოზიტარის ან მესამე მხარის მიმართ წარმოშობილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე შეტანილი არ იქნება სალიკვიდაციო ან გადახდისუუნარობის მასაში, თუ მათ მიმართ აღძრულია გადახდისუუნარობის, სალიკვიდაციო ან სხვა მსგავსი საქმის წარმოება.

2. სპეციალიზებულ დეპოზიტართან შენახული საპენსიო აქტივები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეორადად სპეციალიზებული დეპოზიტარის ან სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციამინიჭებული მესამე პირის მიერ, როგორც საკუთარი აქტივი, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი აქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. საპენსიო აქტივების მეორადი გამოყენება გულისხმობს შენახულ საპენსიო აქტივებთან დაკავშირებულ ნებისმიერ გარიგებას, მათ შორის, მათ გადაცემას, გირავნობას, გაყიდვასა და გასესხებას.

მუხლი 28. სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის შენახვა და აღრიცხვა

1. სპეციალიზებული დეპოზიტარი აღრიცხავს ყველა ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლებიც საპენსიო აქტივებს შეადგენს და რომელთა აღრიცხვა შეიძლება სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ გახსნილ ფინანსური ინსტრუმენტების ანგარიშზე შესაბამისი ჩანაწერების სახით, და ყველა ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლებიც ფიზიკურად შეიძლება გადაეცეს სპეციალიზებულ დეპოზიტარს შესანახად.

2. სპეციალიზებული დეპოზიტარი უზრუნველყოფს, რომ ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, რომლებიც ექვემდებარება აღრიცხვას სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ გახსნილ ფინანსური ინსტრუმენტების ანგარიშზე, დაფიქსირდეს მის მიერ აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის სახელზე გახსნილ ცალკეულ ანგარიშებზე, რის შედეგადაც დგინდება კონკრეტულ საპენსიო სქემასთან ფინანსური ინსტრუმენტების კუთვნილება.

3. სპეციალიზებული დეპოზიტარი ინახავს და აღრიცხავს თითოეული საპენსიო სქემის საპენსიო აქტივებს კონკრეტული საპენსიო სქემის ყველა სხვა აქტივისგან განცალკევებით, რომლებიც გაიგივებული არ იქნება რომელიმე პირად საპენსიო ანგარიშთან, რათა შესაძლებელი იყოს მათი იდენტიფიცირება და მკაფიოდ გამიჯვნა.

4. იმ აქტივებთან მიმართებით, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით, სპეციალიზებული დეპოზიტარი ამოწმებს აქტივების მფლობელის ვინაობას აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ან დოკუმენტაციის საფუძველზე და, თუ ეს შესაძლებელია, გარე მტკიცებულებების საფუძველზე.

5. სპეციალიზებული დეპოზიტარი აწარმოებს და მუდმივად აახლებს აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივების შესახებ ჩანაწერებს.

6. სპეციალიზებული დეპოზიტარი აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას წარუდგენს ყველა საპენსიო აქტივის შესახებ ამომწურავ ინვენტარიზაციას შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით.

მუხლი 29. სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ ფუნქციების მესამე პირისთვის გადაცემა

1. სპეციალიზებულ დეპოზიტარს უფლება აქვს, განახორციელოს ამ კანონის 28-ე მუხლის პირველი-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ფუნქციების დელეგირება.

2. სპეციალიზებული დეპოზიტარი უფლებამოსილია განახორციელოს მესამე პირზე (პირებზე)



ფუნქციების დელეგირება ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულდება ყველა შემდეგი პირობა:

ა) სპეციალიზებული დეპოზიტარი ფუნქციების დელეგირებას არ ახორციელებს ამ კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებისგან თავის ასარიდებლად;

ბ) სპეციალიზებულ დეპოზიტარს შეუძლია დაასაბუთოს, რომ მის მიერ ფუნქციების დელეგირებას ობიექტური საფუძველი აქვს;

გ) სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა სათანადო წინდახედულობა და გონიერება გამოიჩინა მესამე პირის შერჩევისას და მასზე ფუნქციების დელეგირების განხორციელებისას. სპეციალიზებული დეპოზიტარი აგრეთვე ვალდებულია გამოიჩინოს სათანადო წინდახედულობა და გონიერება მესამე პირისა და მესამე პირზე დელეგირებული ფუნქციების შესრულების პერიოდული შემოწმებისას და მონიტორინგისას;

დ) სპეციალიზებული დეპოზიტარი უზრუნველყოფს, რომ მესამე პირი მუდმივად აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

დ.ა) მესამე პირის სტრუქტურა და კვალიფიკაცია მისთვის შესაბამისად მინდობილი საპენსიო აქტივების მახასიათებლებისა და კომპლექსურობის ადეკვატური და პროპორციულია;

დ.ბ) მესამე პირი ექვემდებარება პრუდენციულ რეგულირებას, მათ შორის, მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს, და ზედამხედველობას, აგრეთვე ექვემდებარება პერიოდულ გარე აუდიტებს იმის დასადასტურებლად, რომ ფინანსური ინსტრუმენტები მასთან ინახება;

დ.გ) მესამე პირი სპეციალიზებული დეპოზიტარის კლიენტების აქტივებს საკუთარი აქტივებისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის აქტივებისგან განაცალკევებს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ნებისმიერ დროს მათი, როგორც კონკრეტული სპეციალიზებული დეპოზიტარის კლიენტების აქტივების, აშკარად იდენტიფიცირება;

დ.დ) მესამე პირის მიმართ გადახდისუნარიანობის ან ლიკვიდაციის საქმის წარმოების ან სხვა ანალოგიური რეჟიმის მოქმედების შემთხვევაში მასთან შენახული საპენსიო აქტივები ხელმისაწვდომი არ არის მესამე პირის კრედიტორებზე გასანაწილებლად ან მათ სასარგებლოდ რეალიზაციისთვის;

ე) მესამე პირი ასრულებს ამ კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და იცავს ამ კანონით დადგენილ შეზღუდვებს.

მუხლი 30. სპეციალიზებული დეპოზიტარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველები

1. სპეციალიზებულ დეპოზიტარს საპენსიო სქემისთვის მომსახურების უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე ამ ხელშეკრულების ან მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ამ კანონის შესაბამისად საპენსიო აქტივების მართვაზე აქტივების მმართველი კომპანიის ან მზღვეველის უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეწყვეტის ფარგლებში მიღწეულია შეთანხმება იმავე სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ მომსახურების გაწევის შესახებ ახალი აქტივების მმართველი კომპანიის ან მზღვეველის პირობებში, რა შემთხვევაშიც ის ხელახლა ინიშნება სპეციალიზებულ დეპოზიტარად;

გ) სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების მიმწოდებელი პირის შესაბამისი ლიცენზიის გაუქმებისთანავე;

დ) სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების მიმწოდებელი პირის ლიკვიდაციის ან გადახდისუნარიანობის შესახებ საქმის დაწყებისთანავე;

ე) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების



მიღებისთანავე.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი წყვეტს სპეციალიზებული დეპოზიტარის უფლებამოსილებას, მოემსახუროს ერთ ან ერთზე მეტ საპენსიო სქემას, თუ სპეციალიზებული დეპოზიტარი დაარღვევს ამ კანონის, ფინანსური სექტორის მარეგულირებელი სხვა კანონების, ამ კანონების საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების დებულებებს ან მითითებებს ან აშკარად შეუქმნის საფრთხეს მონაწილისა და ბენეფიციარის ინტერესებს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სპეციალიზებული დეპოზიტარის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში სპეციალიზებული დეპოზიტარი აგრძელებს საქმიანობას ახალი სპეციალიზებული დეპოზიტარის დანიშვნამდე. სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ მიწოდებული დეპოზიტარული მომსახურება ახალი სპეციალიზებული დეპოზიტარის დანიშვნის თარიღამდე ანაზღაურდება უფლებამოსილების შეწყვეტამდე მოქმედი სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოვლენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში არ დაინიშნება ახალი სპეციალიზებული დეპოზიტარი, სამსახურს უფლება აქვს, გააუქმოს საპენსიო სქემის რეგისტრაცია.

თავი VI

მმართველობის სისტემის საკვანძო ფუნქციები

მუხლი 31. ზოგადი მოთხოვნები

1. საპენსიო კომპანიას, მზღვეველსა და აქტივების მმართველ კომპანიას მმართველობის სისტემაში უნდა ჰქონდეთ შემდეგი საკვანძო ფუნქციები: რისკის მართვის ფუნქცია და შიდა აუდიტის ფუნქცია. საკვანძო ფუნქციების შემსრულებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული ფუნქციების ეფექტიანად შესრულების შესაძლებლობა ობიექტური, სამართლიანი და დამოუკიდებელი წესით.

2. ამ მუხლით განსაზღვრული საკვანძო ფუნქციები უნდა შესრულდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

3. საკვანძო ფუნქციებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა ნებისმიერი არსებითი ინფორმაცია და რეკომენდაციები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა აცნობონ საპენსიო კომპანიის, მზღვეველისა და აქტივების მმართველი კომპანიის შესაბამის სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც განსაზღვრავს სათანადო ზომების მიღების აუცილებლობას. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ იღებს შესაბამის და დროულ ზომებს მაშინ, როდესაც საკვანძო ფუნქციის შემსრულებელი პირის მიერ გამოვლენილია არსებითი რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის საპენსიო სქემის მონაწილეების ინტერესებს, ან არსებობს საქართველოს კანონმდებლობის მნიშვნელოვანი და არსებითი დარღვევა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საკვანძო ფუნქციისთვის პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია აღნიშნულის შესახებ აცნობოს სამსახურს/საქართველოს ეროვნულ ბანკს. ამ შემთხვევაში საკვანძო ფუნქციის შემსრულებელი პირი სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით.

მუხლი 32. რისკების მართვა

1. საპენსიო კომპანია, მზღვეველი და აქტივების მმართველი კომპანია ვალდებული არიან საკუთარი საქმიანობების ფარგლებში არსებული საპენსიო სქემების ზომის, ბუნების, მასშტაბისა და კომპლექსურობის პროპორციულად ჰქონდეთ რისკის ეფექტიანად მართვის ფუნქცია. ეს ფუნქცია ორგანიზებული უნდა იყოს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს რისკის მართვის სისტემის ფუნქციონირებას, რისთვისაც აღნიშნული სუბიექტები ამტკიცებენ შესაბამის სტრატეგიებს, პროცესებსა და ანგარიშგების პროცედურებს, რომლებიც საჭიროა რისკების ინდივიდუალურ და აგრეგირებულ დონეებზე დადგენისთვის, შეფასებისთვის, მონიტორინგისთვის, მართვისა და რეგულარული ანგარიშგებისთვის.

2. რისკების მართვის სისტემა უნდა იყოს ეფექტიანი და სათანადოდ ინტეგრირებული საპენსიო



კომპანიის, მზღვეველისა და აქტივების მმართველი კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3. რისკის მართვის სისტემა საპენსიო კომპანიის, მზღვეველისა და აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობების ზომის, ბუნების, მასშტაბისა და კომპლექსურობის პროპორციულად უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ რისკებს:

- ა) ანდერაიტინგსა და რეზერვირებას;
- ბ) აქტივებისა და ვალდებულების მართვას;
- გ) ინვესტიციებს;
- დ) ლიკვიდურობის და კონცენტრაციის რისკების მართვას;
- ე) საოპერაციო რისკების მართვას;
- ვ) რისკების შემცირების მეთოდებს.

მუხლი 33. შიდა აუდიტის ფუნქცია

საპენსიო კომპანია, მზღვეველი და აქტივების მმართველი კომპანია ვალდებული არიან საკუთარი საქმიანობების ფარგლებში არსებული საპენსიო სქემების ზომის, ბუნების, მასშტაბისა და კომპლექსურობის პროპორციულად უზრუნველყონ ეფექტიანი შიდა აუდიტის ფუნქცია. შიდა აუდიტის ფუნქცია უნდა მოიცავდეს შიდა კონტროლის სისტემისა და მართვის სისტემის სხვა ელემენტების სათანადოობისა და ეფექტიანობის შეფასებას, მათ შორის, აუთოსორსინგული საქმიანობის შემთხვევაში. შიდა აუდიტის ფუნქცია უნდა იყოს საოპერაციო საქმიანობისგან დამოუკიდებელი და ობიექტური.

მუხლი 34. აუთოსორსინგული მომსახურება

1. საპენსიო კომპანიის, მზღვეველისა და აქტივების მმართველი კომპანიის ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის, საკვანძო ფუნქციები, მთლიანად ან ნაწილობრივ შესაძლებელია გადაეცეს შესაბამის მომსახურების მიმწოდებლებს, რომლებიც ამ საქმიანობების განხორციელებისას/ფუნქციების შესრულებისას იმოქმედებენ მათი სახელით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულებისთვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საპენსიო კომპანიას, მზღვეველსა და აქტივების მმართველ კომპანიას.

3. საკვანძო ფუნქციების ან ნებისმიერი სხვა საქმიანობის აუთოსორსინგზე გადაცემა არ უნდა იწვევდეს:

- ა) საპენსიო კომპანიის, მზღვეველისა და აქტივების მმართველი კომპანიის მართვის სისტემის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუარესებას;
- ბ) საოპერაციო რისკების გაუმართლებელ გაზრდას;
- გ) საპენსიო კომპანიის, მზღვეველისა და აქტივების მმართველი კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე სამსახურის/საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო პროცესის განხორციელების შეფერხებას;
- დ) საპენსიო სქემის მონაწილეებისა და ბენეფიციარებისთვის მომსახურების მიწოდების გაუარესებას.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული აუთოსორსინგის შემთხვევაში საპენსიო კომპანია, მზღვეველი და აქტივების მმართველი კომპანია ვალდებული არიან უზრუნველყონ გადაცემული საქმიანობების/ფუნქციების სათანადო განხორციელება/შესრულება აუთოსორსინგული მომსახურების



მიმწოდებლების შესაბამისი მონიტორინგით როგორც შერჩევის პროცესში, ისე მათი ფუნქციონირების მთელი პერიოდისთვის.

5. საქმიანობებისა და საკვანძო ფუნქციების გადაცემა უნდა განხორციელდეს საპენსიო კომპანიას, მზღვეველსა და აქტივების მმართველ კომპანიას და აუტოსორსინგული მომსახურების მიმწოდებლებს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მხარეებს შორის უფლება-მოვალეობების განაწილება.

6. საპენსიო კომპანია, მზღვეველი და აქტივების მმართველი კომპანია ვალდებული არიან ნებისმიერი საქმიანობის აუტოსორსინგული მომსახურების შესახებ დროულად აცნობონ სამსახურს, ხოლო საკვანძო ფუნქციების აუტოსორსინგზე გადაცემის შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე სამსახურს/საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა ეცნობოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე. სამსახურს/საქართველოს ეროვნულ ბანკს აგრეთვე უნდა ეცნობოს ნებისმიერი შემდგომი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ, რომელიც შეეხება აუტოსორსინგულ მომსახურებას.

7. სამსახური/საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საპენსიო კომპანიას, მზღვეველს, აქტივების მმართველ კომპანიასა და აუტოსორსინგული მომსახურების მიმწოდებელს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ინფორმაცია გადაცემულ საკვანძო ფუნქციებთან ან ნებისმიერ სხვა საქმიანობასთან დაკავშირებით.

მუხლი 35. ანაზღაურების პოლიტიკა

1. საპენსიო კომპანია, მზღვეველი და აქტივების მმართველი კომპანია ვალდებული არიან საკუთარი საქმიანობების ზომის, ბუნების, მასშტაბისა და კომპლექსურობის პროპორციულად განსაზღვრონ ანაზღაურების პოლიტიკა ყველა იმ პირისთვის, რომლებიც ეფექტიანად მართავენ საპენსიო სქემებს, ასრულებენ საკვანძო ფუნქციებს და რომელთა საქმიანობები არსებით ზეგავლენას ახდენს საპენსიო სქემის რისკის პროფილზე. აღნიშნული ანაზღაურების პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს ყოველწლიურად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების პოლიტიკის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

ა) ანაზღაურების პოლიტიკა უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ დაცულ იქნეს საპენსიო სქემის რისკის პროფილი, მიზნები და საპენსიო სქემების მონაწილეებისა და ბენეფიციარების გრძელვადიანი ინტერესები, ფინანსური სტაბილურობა და ხელი შეუწყოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველისა და აქტივების მმართველი კომპანიის რაციონალურ/გონივრულ და ეფექტიან მართვას;

ბ) ანაზღაურების პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს საპენსიო სქემების მონაწილეებისა და ბენეფიციარების გრძელვადიან საუკეთესო ინტერესებს;

გ) ანაზღაურების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ზომებს, რომელთა მიზანია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება;

დ) საპენსიო კომპანია, მზღვეველი და აქტივების მმართველი კომპანია ვალდებული არიან განსაზღვრონ ანაზღაურების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და სულ მცირე სამ წელიწადში ერთხელ განაახლონ, აგრეთვე პასუხისმგებელი იყვნენ მისი განხორციელებისთვის;

ე) ანაზღაურების პოლიტიკის მართვა და კონტროლი უნდა განხორციელდეს მკაფიოდ, გამჭვირვალედ და ეფექტიანად.

თავი VII

საპენსიო ფონდი და საპენსიო აქტივების მართვა

მუხლი 36. საპენსიო ფონდი

1. თითოეულ საპენსიო სქემას შეიძლება ჰქონდეს ერთი ან ერთზე მეტი საპენსიო ფონდი.



2. თითოეული საპენსიო ფონდისთვის უნდა არსებობდეს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც უნდა განისაზღვროს საპენსიო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკა/საინვესტიციო სტრატეგია, მათ შორის, აქტივები (აქტივების კლასები), რომლებშიც განხორციელდება ინვესტირება, და საპენსიო ფონდის რისკების კონტროლისა და მათი მართვის პოლიტიკა და მიდგომები.

3. საპენსიო ფონდის ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივების ინვესტირება შეიძლება განხორციელოს მხოლოდ აქტივების მმართველმა კომპანიამ ან მზღვეველმა.

მუხლი 37. აქტივების მმართველი კომპანიისა და მზღვეველის, როგორც აქტივების მმართველის, საქმიანობა

1. ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული საპენსიო სქემის საპენსიო ფონდის აქტივების მართვისას აქტივების მმართველი კომპანია და მზღვეველი ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

ა) პორტფელის მართვას;

ბ) რისკების მართვას.

2. აქტივების მმართველმა კომპანიამ და მზღვეველმა ამ კანონის შესაბამისად დარეგისტრირებული საპენსიო სქემის საპენსიო ფონდის მართვისას დამატებით შეიძლება შეასრულონ შემდეგი ადმინისტრაციული ფუნქციები:

ა) იურიდიული მომსახურება და საბუღალტრო მომსახურება;

ბ) მონაწილეებსა და ბენეფიციარებთან კომუნიკაცია;

გ) აქტივების შეფასება, მათ შორის, აქტივების წმინდა ღირებულების შეფასება, და საგადასახადო დეკლარირება;

დ) მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი;

ე) პირადი საპენსიო ანგარიშების რეესტრის წარმოება;

ვ) პირადი საპენსიო ანგარიშების გახსნა და დახურვა;

ზ) პენსიების გაცემა;

თ) ჩანაწერების წარმოება და შენახვა.

3. ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით, ვრცელდება აქტივების მმართველ კომპანიაზე, საპენსიო კომპანიასა და მზღვეველზე, აგრეთვე საქართველოში აღიარებულ ან ნებადართულ უცხოურ აქტივების მმართველ კომპანიაზე, საპენსიო ორგანიზაციასა და სადაზღვევო ორგანიზაციაზე.

მუხლი 38. საპენსიო აქტივების ინვესტირება

1. საპენსიო აქტივების ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მოთხოვნების და მონაწილეებისა და ბენეფიციარების გრძელვადიანი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით.

2. კეთილსაიმედო ინვესტირების მიზნებია:

ა) საპენსიო აქტივების უსაფრთხოება;

ბ) საპენსიო აქტივების ძირითადად რეგულირებად ფინანსურ ბაზრებზე ინვესტირება. ინვესტირება ისეთ აქტივებში, რომლებიც საკაჭროდ დაშვებული არ არის რეგულირებად ფინანსურ ბაზრებზე,



ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს მიზანშეწონილი ზღვრების დაცვით;

გ) ინვესტიციების დივერსიფიკაცია იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული რომელიმე კონკრეტულ აქტივზე, ემიტენტზე ან საწარმოთა ჯგუფზე დამოკიდებულება/კონცენტრაცია და შედეგად შესაბამისი რისკების პორტფელში აკუმულირება;

დ) საპენსიო აქტივების ინვესტირების შედეგად გრძელვადიან პერიოდში ინვესტირების რისკთან ადეკვატური შეფარდებით მათი რეალური ამონაგების მაქსიმალურად გაზრდა;

ე) ადეკვატური ლიკვიდობის შენარჩუნება.

3. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია ამტკიცებს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პრინციპებსა და სათანადო კანონმდებლობას. საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით უნდა განისაზღვროს:

ა) ამ კანონის მოთხოვნების დაკმაყოფილების გზები;

ბ) აქტივების სახეები, რომლებშიც შეიძლება საპენსიო აქტივების ინვესტირება, მათ შორის, თითოეული აქტივის კლასისა და თითოეული ემიტენტისთვის ან ერთმანეთთან დაკავშირებული ემიტენტების ჯგუფისთვის მაქსიმალური პოზიცია/მოცულობა, სამსახურის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში;

გ) საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;

დ) რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის ფარგლებში საინვესტიციო რისკების შეფასების, მართვისა და კონტროლის პროცედურები;

ე) საინვესტიციო პოლიტიკის გადახედვის მეთოდები და პროცედურები.

4. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი და საპენსიო კომპანია ვალდებული არიან საპენსიო სქემაში გაწევრებისას მონაწილეებს მიაწოდონ ინფორმაცია საპენსიო სქემის საინვესტიციო პოლიტიკისა და რისკის მართვის პოლიტიკის შესახებ. მონაწილეებს აგრეთვე უნდა ეცნობოთ საინვესტიციო პოლიტიკასა და რისკის მართვის პოლიტიკაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

5. აქტივების მმართველი კომპანია ან მზღვეველი, რომელიც საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივების ინვესტირებას ახორციელებს, ვალდებულია:

ა) მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, დამოუკიდებლად, პროფესიონალურად და მხოლოდ საპენსიო სქემის მონაწილეების საუკეთესო ინტერესების შესაბამისად;

ბ) შეიმუშაოს რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები და მუდმივად იცავდეს მათ;

გ) შეიმუშაოს შიდა კონტროლის მექანიზმები საპენსიო აქტივების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და საპენსიო სქემის წესების შესაბამისად ინვესტირების უზრუნველსაყოფად;

დ) როგორც ფუნქციურად, ისე იერარქიულად უზრუნველყოს რისკების მართვის ფუნქციის დამოუკიდებლობა საოპერაციო/ადმინისტრაციული ფუნქციებისგან, მათ შორის, პორტფელის მართვისგან;

ე) ჰქონდეს საქმიანობის უწყვეტობის გეგმა;

ვ) მიიღოს ყველა გონივრული ზომა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ხოლო მისი თავიდან აცილების შეუძლებლობისას, გამოავლინოს, მართოს, გააკონტროლოს და საჭიროების შემთხვევაში გაუმჟღავნოს იგი მონაწილეებს ინტერესთა კონფლიქტის უარყოფითი ზეგავლენის პრევენციის მიზნით;



ზ) საპენსიო სქემის ყველა მონაწილესა და ბენეფიციარს მოეპყროს სამართლიანად;

თ) შეიმუშაოს საპენსიო სქემის აქტივებისა და ვალდებულებების სათანადო და სწორი შეფასების უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურები;

ი) ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია იმ აქტივების შესახებ, რომელთა შეძენასაც აპირებს ან რომლებიც შეიძინა საპენსიო სქემის სახელით.

6. საპენსიო აქტივების ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი კლასის აქტივებში:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკის ან უცხო ქვეყნის საბანკო მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებულ იმ კომერციული ბანკების ფულად სახსრებსა და დეპოზიტებში (მათ შორის, საბანკო სადეპოზიტო სერტიფიკატებში), რომელთა წინააღმდეგ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, რომელთა ლიცენზია ან ავტორიზაცია გაუქმებული/შეჩერებული არ არის და რომელთა მიმართაც არ გამოიყენება რეზოლუციის რეჟიმი სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) საქართველოს ან უცხო ქვეყნის სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის (ადგილობრივი ხელისუფლების) მიერ გამოშვებულ იმ ფასიან ქაღალდებში, რომლებიც გარანტირებულია სახელმწიფოს ან ფინანსური ინსტიტუტის (ინსტიტუტების) მიერ (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);

გ) საწარმოების მიერ გამოშვებულ იმ ფასიან ქაღალდებში (მათ შორის, წილობრივ და სასესხო ფასიან ქაღალდებში), რომლებიც გამოშვებულია საჯარო შეთავაზებით და განთავსებულია ფასიანი ქაღალდების ლიცენზირებულ ბირჟაზე საქართველოში ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე;

დ) უცხო ქვეყნის მთავრობის კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი ორგანოს მიერ რეგისტრირებულ/ავტორიზებულ კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში (მათ შორის, წილობრივ და სასესხო ფასიან ქაღალდებში), რომლებიც გამოშვებულია საჯარო შეთავაზებით და განთავსებულია ფასიანი ქაღალდების ლიცენზირებულ ბირჟაზე საქართველოში ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე;

ე) მხოლოდ იმ ოფციონებში, ფიუჩერსულ და ფორვარდულ გარიგებებსა და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებებსა და ფინანსურ აქტივებში, რომლებიც ჰეჯირების სტრატეგიისთვის გამოსაყენებელი დერივატივებია, ემსახურება რისკების შემცირებას და იმავდროულად არ ზრდის ღია პოზიციებს;

ვ) სამსახურის მიერ ნებადართულ სხვა ინსტრუმენტში.

7. დაუშვებელია საპენსიო აქტივების ინვესტირება:

ა) ინტელექტუალურ საკუთრებაში, ფიზიკურ აქტივში, რომელიც რეგისტრირებული არ არის ორგანიზებულ ბაზარზე და რომლის ღირებულება უცნობია, მათ შორის, ანტიკვარიატი, ხელოვნების ნიმუშები, მონეტები, მანქანები;

ბ) სამსახურის მიერ აკრძალულ ნებისმიერ სხვა ინსტრუმენტში ან აქტივში.

8. სამსახური ადგენს დასაშვები და აკრძალული აქტივების/ფინანსური ინსტრუმენტების დამატებით ჩამონათვალს, დასაშვები აქტივების/ფინანსური ინსტრუმენტების მაქსიმალურ დასაშვებ ლიმიტებს, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების თითოეული ემიტენტისთვის, მათ შორის, მჭიდრო კავშირში მყოფი ან კონტროლის განმახორციელებელი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც შესაძლოა ეკუთვნოდეს აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას (ასეთი შეზღუდვა არ ვრცელდება სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელებულ ინვესტიციებზე). საინვესტიციო ფონდებში ინვესტირების ლიმიტების დადგენისას სამსახური უფლებამოსილია დაეყრდნოს განსხვავებულ მიდგომებს, მათ შორის, საინვესტიციო ფონდის პორტფელში არსებული აქტივების გათვალისწინებით. სამსახური სასესხო ფასიან ქაღალდებთან/ინსტრუმენტებთან მიმართებით აგრეთვე ადგენს



მინიმალურ დასაშვებ რეიტინგს. გარდა ამისა, სამსახური განსაზღვრავს იმ უცხო ქვეყნების ჩამონათვალს, რომლებშიც დასაშვებია საპენსიო აქტივების ინვესტირება, აგრეთვე საპენსიო აქტივების ვალუტისგან განსხვავებულ უცხო ვალუტაში დენომინირებულ აქტივებში ინვესტირებისთვის დასაშვებ ლიმიტებსა და წესს.

9. სამსახური ადგენს იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომლებშიც საპენსიო საქმიანობა სათანადოდ არის რეგულირებული.

თავი VIII

მონაწილეებისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ვალდებულებები

მუხლი 39. ინფორმაციის მიწოდება, გამოქვეყნება და გამჟღავნება

1. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია ვალდებულია შეადგინოს და საჯაროდ გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) საპენსიო სქემის წესები თითოეული საპენსიო სქემისთვის;

ბ) საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ინფორმაცია საპენსიო აქტივების მართვის შესახებ;

გ) წლიური ანგარიში თითოეული ფინანსური წლისთვის;

დ) ნახევარი წლის ანგარიში ფინანსური წლის 180 კალენდარული დღისთვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან მონაწილეებს მიაწოდონ საპენსიო სქემის წესები და წლიური/ნახევარი წლის ანგარიშები მათი მოთხოვნის საფუძველზე და ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. ეს მასალები მონაწილეებს, ხოლო ბენეფიციარებს – შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, შეიძლება მიეწოდოთ ხანგრძლივი მატარებლის ან ვებგვერდის მეშვეობით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები თითოეული მონაწილისთვის აწარმოებენ პირად საპენსიო ანგარიშს და ვალდებული არიან კვარტალში ერთხელ მაინც თითოეული მონაწილისთვის ხელმისაწვდომი გახადონ აღნიშნულ ანგარიშზე არსებული აქტივების შესახებ ანგარიში. ეს ანგარიში ასახავს განხორციელებულ საპენსიო შენატანებს, საინვესტიციო მოგებასა და ზარალს. პირადი საპენსიო ანგარიშის სტატუსის შესახებ ინფორმაცია მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველდღიურად. ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მონაწილეებს, ხოლო ბენეფიციარებს – შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, შეიძლება მიეწოდოთ ხანგრძლივი მატარებლის ან ვებგვერდის მეშვეობით.

4. საპენსიო კომპანია, მზღვეველი და აქტივების მმართველი კომპანია ვალდებული არიან შეადგინონ და თითოეულ მონაწილეს მიაწოდონ საპენსიო სარგებლის შესახებ ანგარიში, რომელიც უნდა იყოს ზუსტი, განახლებული და ყველა მონაწილისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი ელექტრონული საშუალებებით, მათ შორის, ხანგრძლივი მატარებლის ან ვებგვერდის მეშვეობით, ან მატერიალური ფორმით, სულ მცირე ყოველწლიურად. ნაბეჭდი ასლი მონაწილეებს უნდა გადაეცეთ მოთხოვნის საფუძველზე, ნებისმიერ ინფორმაციასთან ერთად, ელექტრონული საშუალებებით. ამასთანავე, საპენსიო სარგებლის შესახებ ანგარიში უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) მონაწილის პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, მკაფიო მითითებას ამ კანონით განსაზღვრული საპენსიო ასაკის შესახებ;

ბ) საპენსიო სქემის დამფუძნებლის სახელწოდებას, მის საკონტაქტო ინფორმაციას და საპენსიო სქემის ზუსტ მონაცემებს;



გ) საპენსიო სარგებლის სამომავლო პროგნოზების შესახებ და მითითებას იმაზე, რომ ეს პროგნოზები შეიძლება განსხვავდებოდეს მიღებული სარგებლის საბოლოო მაჩვენებლისგან. პროგნოზები ეფუძნება ეკონომიკურ სცენარებს, კერძოდ, საუკეთესო შეფასების სცენარსა და არახელსაყრელ სცენარს, საპენსიო სქემისა და მისი საინვესტიციო სპეციფიკის გათვალისწინებით;

დ) უპირობო უფლებების მინიჭების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და აკუმულირებული საპენსიო შენატანების შესახებ;

ე) საპენსიო სქემაში დამსაქმებლისა და მონაწილის მიერ სულ მცირე ბოლო 12 თვის განმავლობაში განხორციელებული საპენსიო შენატანების შესახებ, საპენსიო სქემისა და მისი საინვესტიციო სპეციფიკის გათვალისწინებით;

ვ) პირად საპენსიო ანგარიშებზე არსებულ საპენსიო აქტივებზე გამოქვითული ნებისმიერი ხარჯის შესახებ დეტალურ ინფორმაციას;

ზ) წლიური ანგარიშგების, საინვესტიციო პოლიტიკის, ანუიტეტის და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში მისაღები საპენსიო სარგებლის შესახებ დამატებით ინფორმაციას, მონაწილის მოთხოვნის შემთხვევაში.

5. სამსახური ნორმატიული აქტით ადგენს ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების/ინფორმაციის შედგენისა და მიწოდების წესს.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები/ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და უნდა იყოს მკაფიო და გასაგები თითოეული მონაწილისთვის.

თავი IX

პენსიის გაცემა

მუხლი 40. პენსიის გაცემის ფორმები და პენსიის მიღების უფლება

1. მონაწილის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევის ან ვადაზე ადრე პენსიაზე გასვლის შემთხვევაში ან ამ კანონის 41-ე მუხლით გათვალისწინებული მონაწილის შესაძლებლობის შეზღუდვის შემთხვევაში მონაწილე უფლებამოსილია მიიღოს მის პირად საპენსიო ანგარიშზე რიცხული პენსია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათების სრულად გათვალისწინებით.

2. საპენსიო სქემის ფარგლებში პენსიის მიღებაზე უფლებამოსილ მონაწილეს შეუძლია მიიღოს პენსია შემდეგი ფორმით:

ა) ერთიანი გადახდით;

ბ) პროგრამული გატანით;

გ) ანუიტეტის ფორმით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთიანი გადახდა გულისხმობს პირად საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო დანაგროვის სრულად გადახდას. საპენსიო სქემის წესები შეიძლება ითვალისწინებდეს ერთიანი გადახდის თანხის ზღვრულ მოცულობას როგორც ნომინალური ფულადი ოდენობით, ისე საპენსიო დანაგროვის პროცენტული ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროგრამული გატანა გულისხმობს პირადი საპენსიო ანგარიშიდან პენსიის პერიოდულ გატანას. საპენსიო სქემის წესები უნდა ითვალისწინებდეს პირად საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო დანაგროვის პროგრამული გატანის შესაბამისად განაწილების მეთოდოლოგიას.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ანუიტეტის მიღება მონაწილეს შეუძლია



მზღვეველთან გაფორმებული ანუიტეტის ხელშეკრულების საფუძველზე.

6. საპენსიო სქემის წესები უნდა ადგენდეს მონაწილის პირად საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო დანაგროვის იმ მინიმალურ ოდენობას, რომელიც აუცილებელია ანუიტეტის მისაღებად.

7. მზღვეველი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად არეგისტრირებს საპენსიო სქემას, უფლებამოსილია საპენსიო სქემის მონაწილეებს შესთავაზოს ანუიტეტი ამავე საპენსიო სქემის ფარგლებში.

8. აქტივების მმართველმა კომპანიამ და საპენსიო კომპანიამ, რომელიც მონაწილეებს ანუიტეტს სთავაზობს, ანუიტეტის შეთავაზება უნდა განახორციელონ მხოლოდ მზღვეველთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

9. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი და საპენსიო კომპანია ვალდებული არიან მონაწილის საპენსიო ასაკის მოახლოებისას უზრუნველყონ მონაწილის სათანადო ინფორმირება მოახლოებული საპენსიო ასაკის შესახებ და მიაწოდონ მას მკაფიო ინფორმაცია პენსიის მისაღებად საჭირო პროცედურებისა და პენსიის მიღების ყველა შესაძლო ფორმის თაობაზე.

მუხლი 41. პენსიის გაცემა მონაწილის შესაძლებლობის შეზღუდვისას

1. მონაწილე უფლებამოსილია ამ კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობის შეზღუდვის შემთხვევაში პენსია მიიღოს საპენსიო ასაკის მიღწევამდე ამავე კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი ფორმით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მქონე პირს შეუძლია მხოლოდ იმ საპენსიო სქემებთან მიმართებით, რომელთა მონაწილეც იგი იყო შესაბამისი სტატუსის მინიჭების მომენტისთვის.

მუხლი 42. პენსიის გაცემა ბენეფიციარისთვის

1. მონაწილეს უფლება აქვს, საპენსიო სქემაში გაწევრებისას ბენეფიციარად განსაზღვროს ნებისმიერი მესამე პირი, რომელსაც მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში გადაეცემა მონაწილის უფლებები საპენსიო აქტივებზე (საპენსიო დანაგროვზე). ამ შემთხვევაში მონაწილე ვალდებულია უზრუნველყოს ასეთი მესამე პირის იდენტიფიცირება ყველა საჭირო ფორმით. მონაწილე უფლებამოსილია საპენსიო სქემაში მონაწილეობის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეცვალოს მის მიერ საპენსიო სქემაში გაწევრებისას განსაზღვრული ბენეფიციარი.

2. მესამე პირის ბენეფიციარად განსაზღვრა უნდა მოხდეს სანოტარო წესით დამოწმებული წერილობითი დოკუმენტით.

3. მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში მის მიერ განსაზღვრულ ბენეფიციარს ეცნობება მონაწილის პირად საპენსიო ანგარიშზე არსებულ საპენსიო აქტივებზე მისი უფლებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც შეუძლია ერთ-ერთი შემდეგი გზით:

ა) გადაიტანოს აღნიშნულ პირად საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო დანაგროვი საკუთარ პირად საპენსიო ანგარიშზე;

ბ) პირადი საპენსიო ანგარიშის არქონის შემთხვევაში გახსნას ასეთი ანგარიში აღნიშნული საპენსიო სქემის ფარგლებში;

გ) გაიტანოს (მიიღოს) პენსია.

4. თუ მონაწილეს არ განუსაზღვრავს ბენეფიციარი ან მის მიერ განსაზღვრული ბენეფიციარი გარდაიცვალა, მონაწილის გარდაცვალებისას მის პირად საპენსიო ანგარიშზე არსებულ საპენსიო აქტივებზე უფლებები გადაეცემა (გადაეცემათ) მის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) ეცნობება (ეცნობებათ) მონაწილის პირად საპენსიო ანგარიშზე არსებულ საპენსიო აქტივებზე მისი (მათი) უფლების შესახებ, რომლის განხორციელებაც შეუძლია (შეუძლიათ) ერთ-ერთი შემდეგი გზით:



ა) გადაიტანოს (გადაიტანონ) აღნიშნულ პირად საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო დანაგროვი საკუთარ პირად საპენსიო ანგარიშზე;

ბ) პირადი საპენსიო ანგარიშის არქონის შემთხვევაში გახსნას (გახსნან) ასეთი ანგარიში აღნიშნული საპენსიო სქემის ფარგლებში;

გ) გაიტანოს (გაიტანონ) (მიიღოს (მიიღონ)) პენსია.

5. თუ პენსიის გაცემა დაწყებულია ამ კანონის შესაბამისად პროგრამული გატანის ფორმით, მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში დარჩენილი თანხა გაიცემა მემკვიდრეზე/ბენეფიციარზე ამ მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

6. თუ პენსიის გაცემა დაწყებულია ანუიტეტის ხელშეკრულების საფუძველზე, მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში შესაბამის საპენსიო დანაგროვზე უფლებები განისაზღვრება ანუიტეტის ხელშეკრულებით.

7. პენსიის მემკვიდრეზე/ბენეფიციარზე გაცემის შემთხვევაში მას სრულად მიენიჭება მონაწილისთვის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული შეღავათები.

მუხლი 43. საპენსიო განაცხადი

საპენსიო განაცხადი, რომლის ფორმას ადგენენ საპენსიო კომპანია, მზღვეველი და აქტივების მმართველი კომპანია, უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) მონაწილის ან მემკვიდრის/ბენეფიციარის პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, საპენსიო ასაკზე ან პენსიის მიღების უფლების ამ კანონით დადგენილ სხვა საფუძველზე მითითებას;

ბ) იმ კომერციული ბანკის დასახელებასა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს, რომლებსაც მონაწილე გამოიყენებს პენსიის მისაღებად;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სამკვიდროს გახსნის დამადასტურებელი დოკუმენტის, ანდერძის ან/და სხვა სახის დოკუმენტის ან/და სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მემკვიდრეთა ვინაობას განსაზღვრავს, თუ მონაწილეს საპენსიო სქემაში გაწევრებისას ბენეფიციარი არ განუსაზღვრავს;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მონაწილის შეზღუდული შესაძლებლობის შესაბამისი კატეგორიის დამადასტურებელ დოკუმენტს, საჭიროების შემთხვევაში;

ე) მონაწილის მიერ არჩეული პენსიის მიღების ფორმის შესახებ.

მუხლი 44. პენსიის გაცემა

1. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია პენსიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მონაწილის მიერ ამ კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში. პენსია გაიცემა მონაწილის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით არაუმეტეს 15 სამუშაო დღით, თუ მონაწილემ აირჩია პენსიის მიღება ანუიტეტის ფორმით ან მონაწილის მიერ მიწოდებული ინფორმაცია/დოკუმენტები დამატებით შესწავლას საჭიროებს. ვადის გაგრძელების შემთხვევაში აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი და საპენსიო კომპანია ვალდებული არიან ამის შესახებ წინასწარ აცნობონ მონაწილეს ან მემკვიდრეს/ბენეფიციარს.

3. ამ მუხლით დადგენილ ვადაში პენსიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში მონაწილე ან ბენეფიციარი უფლებამოსილია პრეტენზიით მიმართოს აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას მათი შიდა პრეტენზიების განხილვის



თავი X

საპენსიო აქტივების გადატანა და საპენსიო სქემის შეწყვეტა

მუხლი 45. საპენსიო აქტივების გადატანა

- ყველა საპენსიო სქემა უნდა ითვალისწინებდეს ამ მუხლის შესაბამისად საპენსიო აქტივების გადატანის შესაძლებლობასა და წესებს.
- ჯგუფური საპენსიო სქემის მონაწილეს უფლება აქვს, გადაიტანოს საპენსიო აქტივები, თუ შეწყდა დამსაქმებელთან მისი შრომითი ურთიერთობა, შეწყდა მისი წევრობა დასაქმებულთა გაერთიანებაში, პროფესიულ ორგანიზაციაში ან შეწყდა მისი დამსაქმებლის წევრობა დამსაქმებელთა გაერთიანებაში.
- ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ჯგუფური საპენსიო სქემის მონაწილეს უფლება აქვს, საპენსიო აქტივები გადაიტანოს სხვა საპენსიო სქემაში შემდეგ შემთხვევებში:
 - იმ მზღვევლის, აქტივების მმართველი კომპანიის ან საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციისას, გადახდისუუნარობისას ან გაკოტრებისას, რომელმაც დააფუძნა და დაარეგისტრირა ჯგუფური საპენსიო სქემა;
 - ჯგუფური საპენსიო სქემის შეწყვეტისას;
 - საპენსიო კომპანიის სხვა საპენსიო კომპანიასთან შერწყმისას.
- ინდივიდუალური საპენსიო სქემის მონაწილეს უფლება აქვს, საპენსიო აქტივები გადაიტანოს სხვა ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში შემდეგ შემთხვევებში:
 - იმ მზღვევლის ან აქტივების მმართველი კომპანიის ლიკვიდაციისას, გადახდისუუნარობისას ან გაკოტრებისას, რომელმაც დააფუძნა და დაარეგისტრირა ინდივიდუალური საპენსიო სქემა;
 - ინდივიდუალური საპენსიო სქემის შეწყვეტისას.
- საპენსიო სქემის მონაწილეს უფლება აქვს, საპენსიო აქტივები სხვა საპენსიო სქემაში გადაიტანოს ამ საპენსიო სქემის საპენსიო სქემის წესების შესაბამისად განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.
- თუ მონაწილეს სურს საპენსიო აქტივები, რომლებზედაც მას აქვს უფლებები, გადაიტანოს სხვა საპენსიო სქემაში, იგი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას და წარუდგინოს მას ალტერნატიულ საპენსიო სქემაში საპენსიო აქტივების გადატანაზე ამ საპენსიო სქემის დამფუძნებლის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- მონაწილის საპენსიო სქემაში მონაწილეობა წყდება მის მიერ ამ მუხლის შესაბამისად შეტყობინების უზრუნველყოფიდან 10 კალენდარული დღის შემდეგ. აღნიშნულ დღეს საპენსიო აქტივების გადარიცხვა უნდა განხორციელდეს გადამცემი საპენსიო სქემიდან (სქემა, რომელსაც მონაწილე ტოვებს) მიმღებ საპენსიო სქემაში (სქემა, რომელსაც მონაწილე უერთდება).

8. გადასარიცხი თანხის მოცულობა შეადგენს პირად საპენსიო ანგარიშზე ბოლო შეფასების თარიღისთვის დაფიქსირებული საპენსიო აქტივების ღირებულებას, შესაბამისი გადასახდელი ხარჯების გამოკლებით.

9. სამსახური ნორმატიული აქტით ადგენს საპენსიო აქტივების გადატანის წესს.

მუხლი 46. საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმება, საპენსიო სქემის შეწყვეტა

- სამსახური უფლებამოსილია გააუქმოს საპენსიო სქემის რეგისტრაცია, თუ იგი დარწმუნდება, რომ



წარდგენილ იქნა რეგისტრაციასთან დაკავშირებული მცდარი, არასწორი ან გაყალბებული ინფორმაცია ან მზღვეველმა, აქტივების მმართველმა კომპანიამ ან საპენსიო კომპანიამ არაერთგზის ან უხეშად დაარღვია ამ კანონის, სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისა და მათ საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით (აქტებით) ან მითითებით (მითითებებით) დადგენილი მოთხოვნა (მოთხოვნები) ან თუ საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმება აუცილებელია საპენსიო სქემის საინვესტიციო საქმიანობის შედეგებიდან და მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესებიდან გამომდინარე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოჩენისას სამსახური აღნიშნულის შესახებ შესაბამისი მიზეზების მითითებით წერილობით აცნობებს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის ან აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ ორგანოს მათ ოფიციალურ მისამართებზე და საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლების აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს არანაკლებ 30 კალენდარულ დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამსახური მიიჩნევს, რომ ამგვარი შეტყობინება ზიანს მიაყენებს მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესებს. საპენსიო კომპანიის, მზღვეველის ან აქტივების მმართველის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო უფლებამოსილი არიან შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით უპასუხონ სამსახურს და შესაძლებლობის შემთხვევაში შესთავაზონ საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმების მიზეზების აღმოფხვრისა და გამოსწორების გეგმა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების გაგზავნისას სამსახური უფლებამოსილია შეაჩეროს საპენსიო სქემის რეგისტრაცია და გაყინოს შესაბამისი საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული მართვის ქვეშე მყოფი საპენსიო აქტივები სპეციალიზებული დეპოზიტარისტის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით.

4. თუ საპენსიო კომპანიის, მზღვეველის ან აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო დადგენილ ვადაში წერილობით არ უპასუხებენ სამსახურს ან მათ წერილობით მიმართვაში მითითებული საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმების მიზეზების აღმოფხვრისა და გამოსწორების გეგმა სათანადო არ არის, სამსახური იღებს საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას. საპენსიო კომპანიის, მზღვეველის ან აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო უფლებამოსილი არიან საპენსიო სქემის რეგისტრაციის შეჩერების ან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივრონ სასამართლოში.

5. თუ სამსახური მიიღებს საპენსიო სქემის რეგისტრაციის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას, მოქმედებს შემდეგი წესები:

ა) საპენსიო სქემის რეგისტრაციის შეჩერების მომენტიდან საპენსიო შენატანების განხორციელება და მიღება დაუშვებელია;

ბ) თუ საპენსიო სქემის რეგისტრაციის შეჩერებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში საპენსიო კომპანია, მზღვეველი ან აქტივების მმართველი კომპანია არ აღმოფხვრის საპენსიო სქემის რეგისტრაციის შეჩერების გამომწვევ მიზეზებს, საპენსიო სქემის რეგისტრაცია უქმდება.

6. თუ სამსახური მიიღებს საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას, გამოიყენება შემდეგი პროცედურები:

ა) საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმების მომენტიდან საპენსიო შენატანების განხორციელება და მიღება დაუშვებელია;

ბ) სამსახური სპეციალიზებულ დეპოზიტარს ატყობინებს საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და მიმართავს შესაბამისი საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივების გაყინვის თაობაზე;

გ) სამსახური ნიშნავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ლიკვიდატორს, რომელსაც არ აქვს მჭიდრო კავშირი საპენსიო კომპანიასთან, მზღვეველთან, აქტივების მმართველ კომპანიასთან, საპენსიო კომპანიის დამფუძნებელთან (დამფუძნებლებთან) ან აღნიშნული სუბიექტების სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს წევრებთან ან თანამშრომლებთან. სამსახური ნორმატიული აქტის საფუძველზე განსაზღვრავს ლიკვიდატორის მიმართ საჭირო მოთხოვნებს, ლიკვიდატორის შერჩევისა



და კომპენსაციის წესს და ლიკვიდატორის მიერ განსახორციელებელ საქმიანობას. ლიკვიდატორი ფიდუციური ვალდებულების მქონე პირია.

7. საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმების ერთ-ერთი საფუძველია დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების, დასაქმებულთა გაერთიანების, პროფესიული ორგანიზაციის, საპენსიო კომპანიის საერთო კრების/პარტნიორთა კრების, მზღვეველის ან აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება საპენსიო სქემის შეწყვეტის შესახებ. ეს სუბიექტები უფლებამოსილი არიან დაიწყონ საპენსიო სქემის შეწყვეტის პროცედურა, რის შესახებაც 90 კალენდარული დღით ადრე წერილობით ეცნობებათ საპენსიო სქემის თითოეულ მონაწილესა და სამსახურს. ასეთი შეტყობინების გაგზავნისთანავე აღნიშნული სუბიექტები ვალდებული არიან მოამზადონ საპენსიო აქტივების შეფასება და მიიღონ ყველა საჭირო ზომა მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დასაცავად.

8. საპენსიო სქემის შეწყვეტისას გამოიყენება შემდეგი პროცედურები:

ა) საპენსიო კომპანიის, მზღვეველის ან აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო ვალდებული არიან მოამზადონ საპენსიო სქემის ანგარიშგება, რომელშიც აისახება ყველა აქტივი და ვალდებულება ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში. ეს ანგარიშგება წარედგინება სამსახურს და ეგზავნება საპენსიო სქემის ყველა მონაწილეს;

ბ) თუ საპენსიო სქემის ანგარიშგების მიხედვით საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული ლიკვიდური საპენსიო აქტივები საკმარისია საპენსიო სქემის მონაწილეების საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების სრულად დასაკმაყოფილებლად, საპენსიო სქემის მონაწილეებს მიეცემა შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ გადაიტანონ საპენსიო აქტივები სხვა რეგისტრირებულ საპენსიო სქემაში. თუ საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული ლიკვიდური აქტივები საკმარისი არ არის საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების სრულად დასაკმაყოფილებლად, სამსახურს საპენსიო სქემის ანგარიშგებასთან ერთად დასამტკიცებლად წარედგინება სალიკვიდაციო გეგმა. სალიკვიდაციო გეგმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს საპენსიო სქემის ყველა მონაწილისთვის;

გ) სალიკვიდაციო გეგმა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა იმ ზომის შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა დამსაქმებელთა საპენსიო შენატანების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ კანონის შესაბამისად მისაღებად;

დ) საპენსიო კომპანიის, მზღვეველის ან აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ან ხელმძღვანელი ორგანო სამსახურის თანხმობით აგრძელებს საპენსიო სქემის მართვას სამსახურის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ამგვარი მართვა გრძელდება ლიკვიდაციის დასრულებამდე ან საპენსიო აქტივებისა და ვალდებულებების სხვა საპენსიო სქემაში გადატანამდე;

ე) სამსახური უფლებამოსილია უარყოს ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობით წარდგენილი წინადადებით ლიკვიდაციის პროცესის წარმართვა და განსაზღვროს ლიკვიდატორის დანიშვნის აუცილებლობა ამ კანონის შესაბამისად.

9. ლიკვიდატორს შეუძლია გადასცეს ან სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლიათ გადასცენ სამსახურის წინასწარი თანხმობით საპენსიო სქემის აქტივები და ვალდებულებები ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ სხვა ინდივიდუალურ საპენსიო სქემას. აღნიშნულის შესახებ საპენსიო სქემის მონაწილეებს წერილობით უნდა ეცნობოთ 30 კალენდარული დღით ადრე.

10. არცერთი საპენსიო სქემის ფარგლებში დამსაქმებლის მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანები, რომლებზედაც მონაწილეებს მინიჭებული აქვთ უპირობო უფლებები, არ შეიძლება დაუბრუნდეს დამსაქმებელს.

11. ამ კანონით გათვალისწინებული არცერთი მოთხოვნა ან/და წესი არ გამორიცხავს მონაწილის რეგრესის ან/და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ლიკვიდატორის, საპენსიო კომპანიის, აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის, ფიდუციური ვალდებულების მქონე პირების ან ასეთ პირებთან მჭიდროდ დაკავშირებული ნებისმიერი პირის (პირების) მიმართ.



თავი XI

საპენსიო კომპანიების შერწყმა

მუხლი 47. საპენსიო კომპანიების შერწყმა

1. საპენსიო კომპანია უფლებამოსილია განსაზღვროს, რომ ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ სხვა საპენსიო კომპანიასთან შერწყმა მისი წევრების საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება.
2. საპენსიო კომპანიების შერწყმისთვის ორმა ან ორზე მეტმა საპენსიო კომპანიამ უნდა შეიმუშაოს საპენსიო კომპანიების შერწყმის გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამსახურს. სამსახურისთვის საპენსიო კომპანიების შერწყმის გეგმის წარდგენისთანავე თითოეული საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო მოამზადებს საკუთარი საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივების შეფასებას და მიიღებს ყველა საჭირო ზომას მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დასაცავად.
3. თითოეული საპენსიო კომპანია ვალდებულია საპენსიო სქემის მონაწილეებს აცნობოს საპენსიო კომპანიების შერწყმის შესახებ და მიაწოდოს მათ საპენსიო კომპანიების შერწყმის გეგმა. საპენსიო კომპანიების შერწყმის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს თითოეული საპენსიო სქემის მონაწილეების პირადი საპენსიო ანგარიშების შენარჩუნებას/წარმოებას და ყველა მონაწილის საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების დაცვას საპენსიო კომპანიების შერწყმის შედეგად შექმნილ სუბიექტში.
4. სამსახური ამ მუხლის შესაბამისად საპენსიო კომპანიების შერწყმის გეგმის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას საპენსიო კომპანიების შერწყმის გეგმის დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ. თუ სამსახური აღნიშნულ ვადაში არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, საპენსიო კომპანიების შერწყმის გეგმა დამტკიცებულად ითვლება.
5. საპენსიო კომპანიების შერწყმამდე თითოეული საპენსიო კომპანიის მიერ რეგისტრირებული საპენსიო სქემის (სქემების) ყველა მონაწილეს უფლება აქვს, საპენსიო აქტივები გადაიტანოს სხვა საპენსიო სქემაში.

თავი XII

ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება და საპენსიო კომპანიის ლიკვიდაცია

მუხლი 48. ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების და საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის პირობები

1. საპენსიო კომპანიის ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ხდება საპენსიო კომპანიის ლიკვიდაცია. სამსახური უფლებამოსილია გააუქმოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზია, თუ დარწმუნდება, რომ წარდგენილ იქნა ლიცენზიის მოთხოვნასთან დაკავშირებული მცდარი, არასწორი ან გაყალბებული ინფორმაცია ან საპენსიო კომპანიამ ამ კანონის, სხვა შესაბამისი კანონებისა და მათ საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების მოთხოვნები არაერთგზის ან უხეშად დაარღვია, შესაბამისი დარღვევა არ აღმოფხვრილა ან ამ დარღვევას უარყოფითი გავლენა აქვს საპენსიო სქემის საინვესტიციო საქმიანობაზე ან ლიცენზიის გაუქმება ემსახურება მონაწილეთა ინტერესებს. სამსახური აგრეთვე უფლებამოსილია გააუქმოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზია საპენსიო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საგრძნობლად გაუარესების ან/და საპენსიო კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის საფრთხის არსებობის შემთხვევაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოჩენისას სამსახური აღნიშნულის შესახებ შესაბამისი მიზეზების მითითებით წერილობით აცნობებს საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ ორგანოს მათ ოფიციალურ მისამართებზე ლიცენზიის



გაუქმებამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამსახური მიიჩნევა, რომ ამგვარი შეტყობინება ზიანს მიაყენებს მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესებს.

3. საპენსიო კომპანია უფლებამოსილია ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

4. საპენსიო კომპანიის საერთო კრება/პარტნიორთა კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ და დაიწყოს საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის პროცედურა, რის შესახებაც 90 კალენდარული დღით ადრე წერილობით ეცნობებათ საპენსიო კომპანიის საპენსიო სქემის (სქემების) თითოეულ მონაწილესა და სამსახურს. ასეთი შეტყობინების გაგზავნისთანავე აღნიშნული სუბიექტები ვალდებული არიან მოამზადონ საპენსიო კომპანიის საპენსიო სქემის (სქემების) ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივების შეფასება და მიიღონ ყველა საჭირო ზომა მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დასაცავად, მათ შორის, უზრუნველყონ მონაწილეების არჩევანი, გადაიტანონ საპენსიო აქტივები ახალ საპენსიო კომპანიაში, აქტივების მმართველ კომპანიაში ან მზღვეველთან. მონაწილეებს შეუძლიათ უარი თქვან საპენსიო აქტივების გადატანაზე ახალ საპენსიო კომპანიაში, აქტივების მმართველ კომპანიაში ან მზღვეველთან და საპენსიო აქტივები გაიტანონ ამ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

5. თუ სამსახური გადაწყვეტს საპენსიო კომპანიის ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებას, გამოიყენება შემდეგი პროცედურები:

ა) საპენსიო კომპანიის ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების მომენტიდან საპენსიო კომპანიის მიერ რეგისტრირებული საპენსიო სქემის (სქემების) ფარგლებში საპენსიო შენატანების განხორციელება დაუშვებელია;

ბ) სამსახური საპენსიო კომპანიის სპეციალიზებულ დეპოზიტარს (დეპოზიტარებს) ატყობინებს საპენსიო კომპანიის ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ და მიმართავს საპენსიო კომპანიის ფარგლებში არსებული საპენსიო სქემის (სქემების) მართვის ქვეშ მყოფი საპენსიო აქტივების გაყინვის თაობაზე;

გ) სამსახური ნიშნავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ლიკვიდატორს, რომელსაც არ აქვს მჭიდრო კავშირი საპენსიო კომპანიათა, საპენსიო კომპანიის მიერ დაქირავებულ მზღვეველთან ან აქტივების მმართველ კომპანიათა, საპენსიო კომპანიის დამფუძნებელთან, დამსაქმებელთან (დამსაქმებლებთან), რომლებიც საპენსიო სქემებში ახორციელებენ საპენსიო შენატანებს, ან აღნიშნული სუბიექტების სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს წევრებთან. სამსახური ადგენს ლიკვიდატორის მიმართ შესაფერისობის კრიტერიუმებს, კომპენსაციის წესს და ლიკვიდატორის მიერ საქმიანობის განხორციელების წესებს. ამ მუხლის შესაბამისად დანიშნული ლიკვიდატორი ფიდეიუციური ვალდებულების მქონე პირია.

6. თუ საპენსიო კომპანიის საერთო კრება/პარტნიორთა კრება გადაწყვეტს საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციას, გამოიყენება შემდეგი პროცედურები:

ა) საპენსიო კომპანიის საერთო კრება/პარტნიორთა კრება ვალდებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მოამზადოს საპენსიო სქემის (სქემების) ლიკვიდაციის გეგმა და ანგარიშგება, რომელშიც, მათ შორის, აისახება საპენსიო კომპანიის ფარგლებში არსებული ყველა საპენსიო აქტივი და ვალდებულება და ინფორმაცია მის მიერ შერჩეული ლიკვიდატორის შესახებ. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ლიკვიდაციის გეგმა და ანგარიშგება წარედგინება სამსახურს, ხოლო ლიკვიდაციის გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება საპენსიო სქემის (სქემების) თითოეულ მონაწილეს;

ბ) თუ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შედგენილი ანგარიშგების მიხედვით საპენსიო კომპანიის ფარგლებში არსებული ლიკვიდური საპენსიო აქტივები საკმარისია საპენსიო სქემის (სქემების) მონაწილეების საპენსიო აქტივებზე უფლებების სრულად დასაკმაყოფილებლად, საპენსიო სქემის მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ გადაიტანონ საპენსიო აქტივები სხვა რეგისტრირებულ საპენსიო სქემაში. თუ საპენსიო კომპანიის ფარგლებში არსებული ლიკვიდური აქტივები საკმარისი არ არის საპენსიო აქტივებზე მონაწილეების უფლებების სრულად დასაკმაყოფილებლად, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია სამსახურს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშგებასა და ლიკვიდაციის გეგმასთან ერთად წარუდგინოს ლიკვიდაციის



პროცესის სამომავლო წარმართვის შესახებ წინადადება, რომელსაც სალიკვიდაციო გეგმასთან ერთად ამტკიცებს სამსახური;

გ) ლიკვიდაციის პროცესის სამომავლო წარმართვის შესახებ წინადადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა იმ ზომის შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა დამსაქმებელთა საპენსიო შენატანების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ კანონის შესაბამისად მისაღებად;

დ) საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო, თუ სამსახური არ ჩათვლის მიზანშეწონილად, აგრძელებენ საპენსიო სქემის მართვას სამსახურის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ამგვარი მართვა გრძელდება საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის დასრულებამდე ან საპენსიო აქტივებისა და ვალდებულებების სხვა საპენსიო სქემაში სრულად გადატანამდე;

ე) სამსახური უფლებამოსილია უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ამ პუნქტის შესაბამისად წარდგენილი სალიკვიდაციო გეგმა და ლიკვიდაციის პროცესის სამომავლო წარმართვის შესახებ წინადადება და ასეთ შემთხვევაში განსაზღვროს ლიკვიდატორის დანიშვნის აუცილებლობა ამ კანონის შესაბამისად.

7. ლიკვიდატორს ან საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს სამსახურის წინასწარი თანხმობით შეუძლია საპენსიო კომპანიის საპენსიო სქემის (სქემების) ფარგლებში არსებული აქტივები და ვალდებულებები გადასცეს ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ სხვა ინდივიდუალურ საპენსიო სქემას. აღნიშნულის შესახებ საპენსიო სქემის (სქემების) მონაწილეებს წერილობით უნდა ეცნობოთ 30 კალენდარული დღით ადრე.

8. სამსახურის მიერ დანიშნულ ლიკვიდატორს ენიჭება საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს და ყველა სხვა მმართველი ორგანოს სრული უფლებამოსილებები. სამსახურის მიერ დანიშნული ლიკვიდატორი ანგარიშვალდებულია სამსახურისა და მონაწილეების წინაშე.

9. ამ თავის შესაბამისად საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე წყდება საპენსიო კომპანიის მიმართ ყველა მიმდინარე სააღსრულებო წარმოება.

10. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდაციის პროცედურები და წესები არ ვრცელდება საპენსიო კომპანიაზე.

11. ლიკვიდაციის დასრულებამდე ლიკვიდაციისადმი დაქვემდებარებულ საპენსიო კომპანიაზე ვრცელდება ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

12. ლიკვიდაციისადმი დაქვემდებარებული საპენსიო კომპანიის საპენსიო სქემის ფარგლებში დამსაქმებლის მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანები, რომლებზედაც მონაწილეებს მინიჭებული აქვთ უპირობო უფლებები, არ შეიძლება დაუბრუნდეს დამსაქმებელს.

13. ამ მუხლით გათვალისწინებული არცერთი მოთხოვნა ან/და წესი არ გამოირიცხავს მონაწილის რეგრესის ან/და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ლიკვიდატორის, საპენსიო კომპანიის, აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის, ფიდუციური ვალდებულების მქონე პირების ან ასეთ პირებთან მჭიდროდ დაკავშირებული ნებისმიერი პირის (პირების) მიმართ.

14. საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას სამსახური იმავე დღეს სარეგისტრაციოდ წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს.

მუხლი 49. სალიკვიდაციო გეგმა

1. სამსახურისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი სალიკვიდაციო გეგმა უნდა განსაზღვრავდეს ლიკვიდაციის პროცესში მისაღებ ზომებს, მონაწილეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, და უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

ა) გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის შესახებ;



ბ) საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის მიზნებს და შეფასებას, ემსახურება თუ არა საპენსიო კომპანიის ლიკვიდაცია მონაწილეების ინტერესების დაცვას;

გ) ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯების მაქსიმალურ ოდენობას;

დ) მონაწილეების საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ე) საპენსიო კომპანიის აქტივების აღწერას;

ვ) საპენსიო კომპანიის კრედიტორებისა და მათ წინაშე არსებული ვალდებულებების ოდენობასა და მათ შესახებ ინფორმაციას;

ზ) ყველა იმ ზომის შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა დამსაქმებლების საპენსიო შენატანების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ კანონის შესაბამისად მისაღებად;

თ) საპენსიო აქტივების რეალიზაციის და მონაწილეებსა და ბენეფიციარებს შორის განაწილების მეთოდსა და პროცედურებს;

ი) ლიკვიდაციის პროცესის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შესახებ და ამ პროცესში მონაწილეებისა და ბენეფიციარებისთვის ინფორმაციის მიწოდების წესს.

2. სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტების წარდგენა, შეისწავლოს და, საჭიროების შემთხვევაში, ჩაატაროს აუდიტი, განახორციელოს საპენსიო კომპანიის ადგილზე შემოწმება და საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს, აუდიტორულ კომპანიებს და მათ წარმომადგენლებს და ნებისმიერ მესამე პირს მოსთხოვოს წერილობითი ან ზეპირი განმარტებები წარდგენილ დოკუმენტაციასთან/ინფორმაციასთან დაკავშირებით.

3. სამსახური იღებს გადაწყვეტილებას სალიკვიდაციო გეგმის დამტკიცების შესახებ სალიკვიდაციო გეგმის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. საჭიროების შემთხვევაში, სამსახური უფლებამოსილია გააგრძელოს აღნიშნული ვადა.

4. სამსახურს შეუძლია უარი თქვას სალიკვიდაციო გეგმის დამტკიცებაზე, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

ა) სალიკვიდაციო გეგმის დამტკიცების შესახებ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია და ამ განცხადებასთან ერთად წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად, ნათლად და ცალსახად არ ასახავს საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის პროცესსა და ყველა გარემოებას;

ბ) საპენსიო კომპანიის ლიკვიდაცია არ შეესაბამება ამ კანონის მოთხოვნებს;

გ) საპენსიო კომპანიის ლიკვიდაცია ეწინააღმდეგება მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესებს.

მუხლი 50. სალიკვიდაციო პროცესის დასრულება და სალიკვიდაციო ანგარიშის წარდგენა

1. საპენსიო კომპანიის მიმართ არსებული ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებიდან და საპენსიო კომპანიის ყველა აქტივის რეალიზებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ლიკვიდატორი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს საბოლოო საბალანსო უწყისი და ლიკვიდაციის პროცესში მის მიერ განხორციელებული ყველა მოქმედების შესახებ ანგარიში.

2. სამსახური ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო უწყისისა და ანგარიშის წარდგენის შემდეგ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის დასრულების შესახებ.

3. სამსახური საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის დასრულების შესახებ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს იმავე დღეს წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს საპენსიო



კომპანიის ლიკვიდაციის დასრულების რეგისტრაციისა და შესაბამისი რეესტრიდან მისი ამოღების მიზნით.

4. ამ კანონით გათვალისწინებული არცერთი მოთხოვნა ან/და წესი არ გამოორიცხავს მონაწილის რეგრესის ან/და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ლიკვიდატორის, საპენსიო კომპანიის, აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვევლის, ფიდუციური ვალდებულების მქონე პირების ან ასეთ პირებთან მჭიდროდ დაკავშირებული ნებისმიერი პირის (პირების) ან ასეთი პირების მაკონტროლებელი პირების მიმართ.

თავი XIII

ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა

მუხლი 51. სამსახურის უფლებამოსილებები

1. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, სამსახური უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის რეგულირება, მათ შორის, გასცეს და გააუქმოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზია.

2. ამ კანონის შესაბამისად სამსახური ახორციელებს საპენსიო სქემების რეგისტრაციას და რეგისტრაციის გაუქმებას.

3. სამსახური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე ადგენს:

ა) კერძო პენსიის ხელშეკრულების დამატებით პირობებსა და მოთხოვნებს;

ბ) საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს წევრების შესაფერისობის კრიტერიუმებს;

გ) უცხო ქვეყნის საპენსიო ორგანიზაციის აღიარების და ცალკეული მოთხოვნების შესრულებისგან გათავისუფლების პროცედურასა და წესს;

დ) საპენსიო კომპანიის საოპერაციო გეგმის ძირითადი მონაცემების განსაზღვრის წესს;

ე) საპენსიო კომპანიის საკუთარი კაპიტალის განსაზღვრის მინიმალურ მოთხოვნებსა და წესს;

ვ) საპენსიო კომპანიის კაპიტალის მინიმალურ ოდენობასა და მისი დადგენის წესს;

ზ) ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების რეესტრის წარმოების წესს;

თ) საპენსიო აქტივების ინვესტირების წესს;

ი) საპენსიო სქემის მონაწილეებისთვის ინფორმაციის/დოკუმენტების შედგენის და მიწოდების წესს;

კ) საპენსიო კომპანიის ლიკვიდატორის შესაფერისობის კრიტერიუმებს, კომპენსაციის და ლიკვიდატორის მიერ საქმიანობის განხორციელების წესს;

ლ) საპენსიო აქტივების გადატანის წესს;

მ) საპენსიო კომპანიების შერწყმის წესს;

ნ) საპენსიო სქემის მონაწილეთა წმინდა აქტივების ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგიას;

ო) მონაწილეებისთვის, პოტენციური მონაწილეებისა და ბენეფიციარებისთვის მისაწოდებელი



საპენსიო სქემის (საპენსიო სქემის წესების) მოკლე აღწერილობის მოთხოვნებს იმის გათვალისწინებით, რომ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია იქნება ცალსახა, ადვილად აღსაქმელი და გასაგები;

პ) მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესს მონაწილეების, პოტენციური მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად;

ჟ) პირად საპენსიო ანგარიშებზე საპენსიო შენატანების, გადასახდელებისა და საკომისიოების აღრიცხვის წესებს, აგრეთვე ინფორმაციის ხანგრძლივ მატარებელზე შენახვის და მიწოდების წესებს;

რ) პენსიის პროგრამული გატანის წესს/ინსტრუქციას;

ს) საპენსიო კომპანიასა და მზღვეველში მონაწილეებისა და ბენეფიციარების პრეტენზიების განხილვის და გადაწყვეტის მექანიზმის მინიმალურ მოთხოვნებს;

ტ) რისკების მართვის წესებს;

უ) ფულადი ჯარიმის ოდენობას და დაკისრების წესს;

ფ) იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომლებშიც საპენსიო საქმიანობა სათანადოდ არის რეგულირებული.

4. სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველისა და საპენსიო სქემის შემოწმება ადგილზე ან დისტანციურად, მათ შორის:

ა) მოითხოვოს და მიიღოს დოკუმენტები/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების შესახებ და მონაწილეების/ბენეფიციარების პერსონალური მონაცემები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) შეაფასოს ხარისხობრივი მახასიათებლები საპენსიო კომპანიის, მზღვეველისა და საპენსიო სქემის მართვის სისტემასთან/სტრუქტურასთან დაკავშირებით;

გ) შეაფასოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველისა და საპენსიო სქემის წინაშე არსებული და შესაძლო რისკები;

დ) შეაფასოს საპენსიო კომპანიისა და მზღვეველის შესაძლებლობები რისკების იდენტიფიცირების, გაზომვისა და მართვის კუთხით.

5. სამსახური უფლებამოსილია აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარისგან მოითხოვოს და მიიღოს დოკუმენტები/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების შესახებ და მონაწილეების/ბენეფიციარების პერსონალური მონაცემები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სამსახური უფლებამოსილია აქტივების მმართველი კომპანიის ან სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ ამ კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია (მათ შორის, დარღვევის საფუძვლისა და სიმძიმის შესახებ) მიაწოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს სათანადო რეაგირების მიზნით.

7. სამსახური ვალდებულია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილოს და გადაწყვიტოს ნებაყოფლობით კერძო პენსიასთან დაკავშირებული მონაწილეებისა და ბენეფიციარების პრეტენზიები.

8. სამსახური უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს საპენსიო სქემიდან საპენსიო აქტივების გადატანის პროცესებს.

9. სამსახური ამ კანონის შესაბამისად ნიშნავს საპენსიო კომპანიის ლიკვიდატორს.



10. სამსახური უფლებამოსილია გასცეს სავალდებულო წერილობითი მითითებები და განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

11. სამსახური თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს წინასწარი განჭვრეტის და რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე.

12. სამსახური ამ კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ ბანკთან. ეს თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის გაცვლას და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ სხვა ფორმებს.

13. სამსახურს უფლება აქვს, ამ კანონისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დარღვევისთვის დაუწესოს სანქციები, მათ შორის, დააკისროს ფულადი ჯარიმა, საპენსიო სქემების დამფუძნებლებს (გარდა აქტივების მმართველი კომპანიისა), გააუქმოს საპენსიო სქემის რეგისტრაცია. ფულადი ჯარიმის ოდენობასა და დაკისრების წესს განსაზღვრავს სამსახური.

14. სამსახურს უფლება აქვს, დაადგინოს ამ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო და ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის რეგულირების დამატებითი წესები.

15. სამსახური აქვეყნებს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზრის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას.

მუხლი 52. დარღვევები და სანქციები

1. სამსახურს უფლება აქვს, საპენსიო კომპანიის, მზღვეველის ან/და მათი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების/ხელმძღვანელი ორგანოს წევრების მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი სანქციები, თუ დარღვეულია ამ კანონის ერთ-ერთი დებულება, ამ კანონის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების მოთხოვნები, სამსახურის ინსტრუქცია/წერილობითი მითითება ან „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

2. სამსახური უფლებამოსილია გაასაჯაროს ინფორმაცია დარღვევისთვის პასუხისმგებელი პირისა და დარღვევის ხასიათის შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევების გამოვლენისას სამსახურს უფლება აქვს, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე – არათანამიმდევრულად გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ა) გააგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;

ბ) დააწესოს სპეციალური ღონისძიებები ან გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება) მოთხოვნით, რომ შესაბამისმა სუბიექტმა შემდგომ არ დაუშვას ესა თუ ის დარღვევა და სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში მიიღოს ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად;

გ) დააკისროს ფულადი ჯარიმა სამსახურის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

დ) საპენსიო კომპანიისა და მზღვეველის შესაბამის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს შეუჩეროს ხელმოწერის უფლებამოსილება და მოითხოვოს მათი თანამდებობიდან დროებით გადაყენება ან თანამდებობიდან გათავისუფლება;

ე) განსაკუთრებულ შემთხვევაში შეაჩეროს ან შეზღუდოს მოგების განაწილება და მატერიალური წახალისებების გაცემა, ხოლო თუ საფრთხე ემუქრება მონაწილისა და ბენეფიციარის ინტერესებს, შეუჩეროს ან შეუწყვიტოს მათ კონკრეტული ოპერაციების განხორციელების უფლება;

ვ) გააუქმოს საპენსიო სქემის რეგისტრაცია, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზია.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული სანქცია უნდა იყოს პროპორციული და შეესაბამებოდეს დარღვევის



სერიოზულობასა და სიმძიმეს ან/და საპენსიო სქემის საპენსიო აქტივებისთვის მიყენებულ ზარალს ან შექმნილ რისკს/საფრთხეს, აგრეთვე ითვალისწინებდეს შესაბამისი დარღვევის გავლენას მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესებზე.

5. აქტივების მმართველ კომპანიებთან მიმართებით ამ მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს (მათ შორის, ფულადი ჯარიმის დაკისრებას), გარდა ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებისა, ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი თავის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

თავი XIV

სპეციალიზებული დეპოზიტარის და აქტივების მმართველი კომპანიის დამატებითი რეგულირება და ზედამხედველობა

მუხლი 53. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებები

1. ამ კანონის ფარგლებში სპეციალიზებული დეპოზიტარისა და აქტივების მმართველი კომპანიის ზედამხედველობას და დამატებით რეგულირებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. ამ კანონის ფარგლებში მოქმედი აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის მიმართ დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით.

2. თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების მიღება სხვაგვარად შეუძლებელია ან არაგონივრულ ძალისხმევას ან ხარჯებს მოითხოვს, საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია შეასრულოს საპენსიო სქემის (სქემების) სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციები შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიძლება შეასრულოს ამ კანონით გათვალისწინებული სპეციალიზებული დეპოზიტარის ყველა ფუნქცია ან ამ ფუნქციების მხოლოდ გარკვეული ნაწილი.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნორმატიული აქტის საფუძველზე დაადგინოს მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველსა და სპეციალიზებულ დეპოზიტარს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების შინაარსი.

4. იმ აქტივების მმართველი კომპანიის, რომელიც მართავს საპენსიო სქემის აქტივებს, ლიცენზიის გაუქმების პროცესის დაწყების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკი სამსახურს შეატყობინებს ამ პროცესის დაწყებამდე არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე.

5. საქართველოს ეროვნული ბანკი ამ კანონით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს სამსახურთან. ეს თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის გაცვლას და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ სხვა ფორმებს.

თავი XV

ფიდუციური ვალდებულების დარღვევა და მისი გადაწყვეტა

მუხლი 54. ფიდუციური ვალდებულების დარღვევა და მისი შედეგები

1. ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი საპენსიო აქტივებს უნდა მოეპყროს, როგორც მინდობილ საკუთრებას, და ამ აქტივების მიმართ უნდა იმოქმედოს მხოლოდ მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. სხვა ინტერესების დაცვა არის ფიდუციური ვალდებულების დარღვევა.

2. ამ კანონით განსაზღვრული ფიდუციური ვალდებულებების მქონე პირების გარდა, საპენსიო კომპანიის, აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის, საპენსიო სქემის დამფუძნებლის ის



თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული საპენსიო აქტივებთან დაკავშირებულ საინვესტიციო საქმიანობასთან და რომლებსაც ამ აქტივებთან დაკავშირებით აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება, არიან ფიდუციური ვალდებულების მქონე პირები.

3. ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი საკუთარი მოვალეობების შესრულებისას ვალდებულია:

ა) მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, დამოუკიდებლად, გონივრულად, ერთგულად და პროფესიონალურად;

ბ) ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი, სადად მოაზროვნე პირი;

გ) მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ყველა ქმედება მონაწილეებისა და ბენეფიციარების საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება.

4. თუ ფიდუციური ვალდებულების მქონე პირს არ აქვს რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ცოდნა და ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა, მან უნდა მიიღოს ასეთ საკითხზე შესაბამისი სფეროს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტის რჩევა. თუ ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი არ მიიღებს ამ პუნქტით გათვალისწინებულ ზომებს, აღნიშნული ჩაითვლება ფიდუციური ვალდებულების დარღვევად.

5. ფიდუციური ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება ფიდუციური ვალდებულების მქონე პირის მიერ საპენსიო აქტივების საკუთარი ან მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი პირების, მასთან კონტროლით დაკავშირებული პირების ინტერესების შესაბამისად ან/და სასარგებლოდ გამოყენება.

6. ფიდუციური ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება ფიდუციური ვალდებულების მქონე პირის მიერ საპენსიო აქტივებთან დაკავშირებით ისეთი გარიგებების დადება, რომლის მეორე მხარე ფიდუციური ვალდებულების მქონე პირთან მჭიდრო კავშირში მყოფი პირია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი გარიგების დადება კანონით პირდაპირ არის დაშვებული.

7. ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი პასუხს აგებს სხვა ფიდუციური ვალდებულების მქონე პირის მიერ ფიდუციური ვალდებულების დარღვევისთვის, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა ასეთი დარღვევის შესახებ.

8. თუ რამდენიმე ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი ერთობლივად დაარღვევს ამ კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ისინი ამ დარღვევისთვის სოლიდარულად აგებენ პასუხს.

9. იურიდიული პირი სრულად არის პასუხისმგებელი მის მიერ დაქირავებული ფიდუციური ვალდებულების მქონე ფიზიკური პირის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების (ვალდებულებების) დარღვევისთვის.

10. ფიდუციური ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მონაწილეს და ბენეფიციარს უფლება აქვთ:

ა) დააყენონ მოთხოვნა იმ საპენსიო აქტივებზე, რომლებზედაც აქვთ უფლებები სრული მოცულობით;

ბ) დააყენონ მოთხოვნა გაწეული სამართლებრივი და სხვა აღსრულების ხარჯების, მათ შორის, გონივრულ ფარგლებში ადვოკატის ჰონორარის, ანაზღაურებაზე;

გ) დააყენონ მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე;

დ) დააყენონ ნებისმიერი სხვა მოთხოვნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ფიდუციური ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შედეგად ამოღებული თანხები მიექცევა შესაბამისი მონაწილის ან ბენეფიციარის პირად საპენსიო ანგარიშზე, ფიდუციური ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის პროპორციულად.

მუხლი 55. საპენსიო სქემებთან დაკავშირებული პრეტენზიების გადაწყვეტა



1. საპენსიო სქემის წესებით უნდა განისაზღვროს აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის მონაწილეებისა და ბენეფიციარების პრეტენზიების განხილვისა და გადაწყვეტის მექანიზმი.

2. სამსახური ვალდებულია საპენსიო სქემის რეგისტრაციის პროცესში შეამოწმოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მექანიზმი და მისი ეფექტიანობა.

3. მონაწილისა და ბენეფიციარის პრეტენზიების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს.

4. თუ მონაწილის ან ბენეფიციარის მიერ აქტივების მმართველი კომპანიისთვის, მზღვეველისთვის ან საპენსიო კომპანიისთვის წარდგენილი პრეტენზია არ დაკმაყოფილდა, მონაწილეს ან ბენეფიციარს უფლება აქვს, მიმართოს სამსახურს, რომელიც წარდგენილ პრეტენზიას განიხილავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

5. სამსახურის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პრეტენზიის განხილვისას აქტივების მმართველი კომპანიის მიერ ამ კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სამსახურმა შესაბამისი ინფორმაცია (მათ შორის, დარღვევის საფუძვლისა და სიმძიმის შესახებ) უნდა მიაწოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს სათანადო რეაგირების მიზნით.

6. მონაწილე და ბენეფიციარი უფლებამოსილი არიან თავიანთი უფლებების დასაცავად ნებისმიერ დროს მიმართონ სასამართლოს.

მუხლი 56. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის საპენსიო შენატანებისა და საკუთარი საპენსიო შენატანების გადაუხდელობა

თუ დამსაქმებელი არ განახორციელებს დასაქმებულის საპენსიო შენატანებს და საკუთარ საპენსიო შენატანებს სათანადო საპენსიო სქემის წესების შესაბამისად, მონაწილე ან ბენეფიციარი უფლებამოსილია დამსაქმებელს მოსთხოვოს:

ა) ვადაგადაცილებული შენატანების მთლიანი თანხის (შესაბამისი პროცენტის ჩათვლით) საპენსიო სქემაში შეტანა;

ბ) სამართლებრივი და სხვა აღსრულების ხარჯების, მათ შორის, გონივრულ ფარგლებში ადვოკატის ჰონორარის, ანაზღაურება;

გ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ნებისმიერი სხვა მოთხოვნის დაკმაყოფილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XVI

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 57. არსებული საპენსიო სქემების რეგულირება

2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებლები ვალდებული არიან 2026 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ საკუთარი საქმიანობის ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახური განახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმების პროცედურებს.

მუხლი 58. გამოსაცემი ნორმატიული აქტები

2025 წლის 1 იანვრამდე:

ა) სამსახურმა უზრუნველყოს ამ კანონის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული



ნორმატიული აქტების გამოცემა;

ბ) საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს ამ კანონის 52-ე მუხლის მე-5 პუნქტითა და 53-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოცემა.

მუხლი 59. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5, 1998 წელი, მუხ. 42).

მუხლი 60. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–57-ე და 59-ე მუხლებისა, ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.
2. ამ კანონის პირველი–57-ე და 59-ე მუხლები ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

28 ივნისი 2023 წ.

N3339-XIმს-Xმპ

